CMYK - 1

www.24saati.ge

# 24 საათი

The New York Times International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ორშაბათი 10 აგვისტო, 2009 წელი. №176 (2214) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

მოლდოვაში სამთავრობო კოალიცია გაფორმდა
A4



გერმანული პრესის მიმოხილვა რუსეთ-საქართველოს ომთან მიმართებაში
A5



ბაგრასთან აფეთქებული ჩემპიონი
A8



24 საათი
"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
GRDC group
ჯი პი აი
ვენის სადაზღვევო ჯგუფი

# გამარჯვებულთა მარცხი

*აგვისტოს ომის წლისთავზე მის პოლიტიკურ შედეგებს მოსკოვში და დასავლეთში აჯამებენ. რუსეთის ლიდერები პოზიციებს არ თმობენ - საქართველოს კვლავ აგრესიაში ადანაშაულებენ და საკუთარი ქმედებების, მათ შორის სამხედრო აგრესიისა და სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობის ცნობის, გამართლებას ცდილობენ. მოსკოვში დასავლეთის მხრიდან ამ პოზიციის მხარდაჭერის იმედიც არ დაუკარგავთ. დასავლური გამოცემები, თავის მხრივ, აგვისტოს ომში რუსეთის პოლიტიკურ მარცხზე ამახვილებენ ყურადღებას. ექსპერტები დასავლეთის ქვეყნებს მოსკოვის მიმართ უფრო მკაცრი პოზიციის დაკავებისკენ მოუწოდებენ.*

*დიმიტრი ავალიანი*

აგვისტოს ომის შესახებ გუშინ რუსეთის პრემიერ-მინისტრმაც ისაუბრა და საქრათველოს მხრიდან ახალი "აგრესიის" საშიშროება არ გამორიცხა, თუმცა, მისი თქმით, **"გასული წლის მოვლენებიდან უნდა ესწავლათ, რომ ძალის პოზიციიდან საუბარი უპერსპექტივოა".**

რუსეთის პრემიერის შეფასებით, მოსკოვმა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს **"უსაფრთხოების სერიოზული გარანტიები"** მისცა, **"იმის მიუხედავად, ვინმეს ეს მოსწონს თუ არა".**

პუტინი იხსენებს, რომ სამხრეთ ოსეთს და აფხაზეთს აგვისტოს ომამდე მოსკოვისთვის არაერთხელ მიუმართავთ რუსეთის შემადგენლობაში შესვლის ან დამოუკიდებლობის ცნობის მოთხოვნით, თუმცა, რუსეთი **"მოზომილად და აკურატულად მოქმედებდა... საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპის - ტერიტორიული მთლიანობის დაცვის"** საფუძველზე. მისი თქმით, რუსეთი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას პატივს სცემდა (ასე გაიხსენა პუტინმა ის პერიოდი, როდესაც რუსეთი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში რუსულ პასპორტებსა და შეიარაღებას არიგებდა, ხელმძღვანელ პოსტებზე კი თავის ძალოვნებს ნიშნავდა), საქართველო კი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ხალხებს **"მეტი პატივისცემით უნდა მოპყრობოდა".**

# ბაგრატის ტაძარში დაკრძალული ქალბატონის იდენტიფიკაციისათვის

ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილი
*ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი*

2009 წლის 5 აგვისტოს ქართული ტელევიზიები და საინფორმაციო სააგენტოები იტყობინებოდნენ უნიკალური არქეოლოგიური აღმოჩენის შესახებ: ქუთაისში, ბაგრატის საკათედრო ტაძრის ფუნდამენტის გამაგრებითი სამუშაოების დროს, ტაძრის დასავლეთ კარიბჭის შიგნით, მიკვლეულ იქნა, სავარაუდოდ, ჩვენი წელთაღრიცხვის VIII-IX საუკუნეებით დათარიღებული სამარხი. იგი ეკუთვნოდა უცნობ, წარჩინებულ ქალბატონს და გამოირჩევა თავისი მდიდარი ინვენტარით, რაც იშვიათია აღნიშნული ხანის ქრისტიანული სამარხებისთვის. ქალბატონი შემკული იყო ოქროს საყურეებით (სხვა ვერსიით, დიადემის საკიდებით), ლალისა და ფირუზის თვლიანი ბეჭდებით, ოქროს და მინის სამაჯურებით და სხვა მდიდრული აქსესუარებით. სამარხის წინასწარი ზედაპირული შესწავლა უკვე იძლეოდა იმის მტკიცების საშუალებას, რომ იგი ეკუთვნოდა დიდგვაროვან ქალბატონს სამეფო ოჯახიდან.[1]

რადიო თავისუფლების ცნობით, ისტორიკოსი დავით ბერძენიშვილი ფიქრობს, რომ დიდგვაროვანი ქალის სამარხი ეგრის-აფხაზეთის დედოფალს უნდა ეკუთვნოდეს. ამ მოსაზრებას იგი ორი გარემოებით ხსნის - სამარხში ბევრი ძვირფასი სამკაულია, დიდგვაროვანი ქალბატონი კი ტაძრის დარბაზში დაუკრძალავთ.[2]

ქუთაისის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი, ომარ ლანჩავა ხაზს უსვამს, რომ ქრისტიანული ხანის მსგავსი მდიდრული სამარხი საქართველოში დღემდე არ არის აღმოჩენილი. მეცნიერის ინფორმაციით, სამარხი VIII საუკუნეს განეკუთვნება და მდებარეობდა იმ ტაძარში, რომელიც ამ ადგილზე ბაგრატის კათედრალის აგებამდე (X-XI სს.) მდგარა.[3]

სააგენტო ინტერპრესნიუსის განცხადებით, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ვაჩეიშვილი ვარაუდობს, რომ სამარხი ეკუთვნის ეგრის-აფხაზეთის სამეფოს რომელიმე დედოფალს, რომლის დადგენაც შესაძლებელია.[4]

ოდნავ მეტი ინფორმაციაა განთავსებული რუსულ ინტერნეტ საიტებზე, გამომდინარე ტელე-იმედის ინფორმაციიდან, რომელიც ასევე ვერ დავძებნე ქართულ ინტერნეტ საიტებზე. ამ ინფორმაციიდან ვიგებთ, რომ ბაგრატის ტაძარში დაკრძალული ქალბატონი, სპეციალისტთა წინასწარი ვარაუდით, დაახლოებით 50-55 წლისა და 165 სმ. სიმაღლის უნდა ყოფილიყო.[5]

გაგრძელება A3 გვერდზე



# მოედნიდან მუზეუმში

## სტუდენტები სტალინის ძეგლისთვის ადგილის მიჩენას ითხოვენ

*დღეს გორელი სტუდენტების საინიციატივო ჯგუფი გორის ცენტრალური მოედნიდან სტალინის ძეგლის გადატანის მოთხოვნით, გორის საკრებულოს თავმჯდომარესა და შიდა ქართლის გუბერნატორს მიმართვას წარუდგენს. სტუდენტები იმედოვნებენ, რომ გორის ცენტრიდან სტალინის ძეგლს აგვისტოს ბოლომდე აიღებენ. ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ მათ მოთხოვნას არ გაითვალისწინებენ, ისინი სექტემბრიდან იმავე მოთხოვნით ფართომასშტაბიანი კამპანიის დასაწყებად ემზადებიან.*

დათო გამისონია

გორელი სტუდენტები სტალინის ძეგლის გადატანის მოთხოვნით გაერთიანდნენ. ახალგაზრდები, რომლებსაც ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი გორში აქვთ, ხოლო სწავლობენ თბილისის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში, დმიტრი მედვედევსა და ვლადიმერ პუტინს სტალინის პოლიტიკურ შთამომავლებად მიიჩნევენ. სწორედ ამის გამო, 8 აგვისტოს, გორში გამართულ დემონსტრაციაზე რუსეთის პირველი პირების ფოტოები ფიგურირებდა. გარდა ამისა, გორის სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფის წევრები, რამდენიმე სლოგანით ცდილობდნენ თავიანთი პოზიციის გამოხატვას, კერძოდ, მათ სტალინის ძეგლის ქვევით დააწერეს - "ჩამოკვარცხლბეკდი, სოსელო!.." ამავე დროს, გორში შეკრებილ ორმოცამდე სტუდენტს, ასეთი წარწერის მქონე ტრანსფარანტები ეჭირათ ხელში; "სტალინის ძეგლი გორის ცენტრში, იგივეა, რაც ჰიტლერის - იერუსალიმში," "სტალინი მუზეუმში," "სტალინი ჩვენი ეროვნული სირცხვილია," "გორი ჩვენი დროის გმირების ქალაქია," "გორი არ არის სტალინის ქალაქი," "ჩვენ არ გვჯერა სტალინის,"

გაგრძელება A2 გვერდზე

CMYK - 1

## სნეულთა დასახმარებლად

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესი ილია II-ის კურთხევით, წმ. სამების საკათედრო ტაძარში სპეციალური შესაწირის ყუთი დაიდგმება. ნებისმიერ მოქალაქეს შესაძლებლობა ექნება, შესაწირი გაიღოს, აღნიშნული თანხა კი სნეულების დახმარებას მოხმარდება. დიდმოწამე, მკურნალი პანტელეიმონის ხსენების დღესთან დაკავშირებულ სადღესასწაულო წირვაზე უწმინდესმა სნეულები დალოცა. “ჩვენ შევთხოვთ წმინდა დიდმოწამე პანტელეიმონს, მოიღოს წყალობა და განგკურნოს თქვენ და მთელი საქართველო", - ბრძანა პატრიარქმა ქადაგებისას. **ინტერპრესნიუსი**

## ˝ეროვნული ფორუმი˝ კახეთში ჩადის

“ეროვნული ფორუმი” კახეთის მოსახლეობასთან შეხვედრებს დღეიდან განაახლებს. “ფორუმის” პრესსამსახურის განცხადებით, ორგანიზაციის ლიდერები კახაბერ შარტავა, ირაკლი მელაშვილი, გუბაზ სანიკიძე კახეთის მოსახლეობასთან შეხვედრებს ყვარლის რაიონის სოფლებიდან დაიწყებენ. ისინი შილდასა და ენისელს ესტუმრებიან, რაიონის მოსახლეობის პრობლემებს მოისმენენ და მათი გადაჭრის გზებს ერთად დასახავენ. ამის შემდეგ “ფორუმის” ლიდერები შეხვედრებს, ლაგოდეხის რაიონის სოფლებში, საგარეჯოსა და თელავში გამართავენ. “ეროვნული ფორუმი” კახეთის რეგიონში, სავარაუდოდ, ერთი კვირა გაჩერდება. თუ რომელ რეგიონს ესტუმრებიან ამის შემდეგ ოპოზიციონერი პოლიტიკოსები, ჯერჯერობით, უცნობია. **ინტერპრესნიუსი**

## საკონსტიტუციო კომისია სამხარეო მოწყობის მოდელზე თანხმდება

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის სამუშაო ჯგუფი, ამ ეტაპზე ქვეყნის სამხარეო მოწყობის მოდელზე თანხმდება. სამუშაო ჯგუფის წევრის ზურაბ დავითაშვილის განმარტებით, რომ კომისიას ჯერ საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ აქვს, თუმცა, სამუშაო ჯგუფში პოზიციები უკვე შეჯერებულია. მისივე თქმით, სამუშაო ჯგუფში შეთანხმდნენ, რომ თვითმმართველობა შესაძლებელია იყოს ორ დონეზე - რაიონის და თემის დონეზე, სოფლის დონეზე ქვეყნის მოწყობა კი სამხარეო დონეზე მოხდეს. “მხარეები უნდა იყოს ოფიციალური, ინსტიტუციონალიზებული ტერიტორიული ერთეულები”, - აღნიშნა დავითაშვილმა და დასძინა, რომ ამით კონსტიტუციაში აისახება ის, რაც ისედაც რეალურად არსებობს. რაც შეეხება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის სტატუსს, ეს შემდგომში განისაზღვრება, მაგრამ კონსტიტუციაში დაფიქსირდება, რომ აფხაზეთი და ცხინვალი ქვეყნის ტერიტორიული ერთეულებია საქართველოს სხვა მხარეებთან ერთად და მათ განსაკუთრებული სტატუსი ექნებათ. ქვეყნის სამხარეო მოწყობა, დავითაშვილის განმარტებით, იქნება არა ეთნოგრაფიული პროვინციების, არამედ სოციალურ-ეკონომიკური და ერთიანი სამეურნეო სისტემების მიხედვით. დავითაშვილის თქმითვე, კომისიის წევრ ექსპერტს მიაჩნია, რომ 13 ერთეულად დაყოფა ქვეყნისთვის უფრო მისაღებია, ვიდრე 75-ზე მეტ ადმინისტრაციულ რაიონად. სამუშაო ჯგუფი ამ მოსაზრებას უკვე კომისიას წარუდგენს და საბოლოო გადაწყვეტილებაც კომისიის ფარგლებში იქნება მიღებული.

ქვეყნის მოწყობის საკითხებს მოქმედი კონსტიტუცია არ ითვალისწინებს და ის მხოლოდ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემდეგ უნდა დარეგულირებულიყო, თუმცა, კომისიაში მიაჩნიათ, რომ ამ მიდგომამ შედეგი ვერ გამოიღო და აუცილებელია ქვეყნის მოწყობის საკითხებზე საბოლოო შეთანხმება მოხდეს. **ინტერპრესნიუსი**

მეუღლე რევო, შვილი ევგენი (ვაჟა), შვილიშვილები ვახტანგი, რევაზი, თამრიკო, შვილთაშვილები დაჩი, კახი მშვიდობაძეები, რძლები მარიამ (მარიკა) ჭოხონელიძე და მერი ბოლქვაძე, ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ჩვენთვის საყვარელი ადამიანი,



**ემილია (მილია) მშვიდობაძე**

**პანაშვიდები:** კვირას და ორშაბათს 17 საათზე.
**გამოსვენება:** ნუცუბიძის ფერდობის IV მ/რ, მე-4-ე კორპუსიდან სამშაბათს 15.00 საათზე.
დაკრძალვა ვარკეთილის ძველ სასაფლაოზე.

# გამარჯვებულთა მარცხი

უფრო ხმამაღალი განცხადებით გამოვიდა რუსეთის პრეზიდენტი დმიტრი მედვედევი 8 აგვისტოს ვლადიკავკაზში, სადაც საგანგებოდ აგვისტოს ომის წლისთავთან დაკავშირებით ჩავიდა.

**“მიღწეულია სამხედრო გამარჯვება. დარწმუნებული ვარ, თავის დროზე მკაცრი და სამართლიანი სასჯელი, მკაცრი საზღაური ეწვევა მათაც, ვინც დანაშაულებრივი ბრძანებები გასცა,”** - განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა. მედვედევი დარწმუნებულია, რომ ომმა საქართველოს წინააღმდეგ **“არ გაართულა რუსეთის ურთიერთობა სხვა ქვეყნებთან”.** მან მადლობა გადაუხადა `უცხოელ პერტნიორებს **“ერთი წლის წინ თბილისელი ავანტიურისტების დამშვიდების მიზნით აქტიური მოქმედებებისთვის”.** თუმცა იგი საკუთარ თვალთმაქცობაში აიხლართა და იქვე შეუტია დასავლეთს: **“ჩვენთვის მნიშვნელოვანია თავად მოსახლეობის შეფასება და არა უცხოელი ექსპერტებისა, რომლებმაც არც იციან, სად მდებარეობს სამხრეთ ოსეთი,”** - განაცხადა მედვედევმა.

რუსეთ-საქარათველოს ომის წლისთავზე გასული წლის მოვლენების შეფასებას დასავლური მედია ცდილობს. არაერთი გამოცემა აღნიშნავს, რომ კონფლიქტის ზონაში დღესაც დაძაბული ვითარებაა, ხდება პროვოკაციები და მხარეები ურთიერთბრალდებებით გამოდიან.

როგორც ბრიტანული გაზეთი “თაიმსი” აღნიშნავს, **“ომში ვერც ერთმა მხარემ ვერ გაიმარჯვა”**, მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვმა დააშინა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები და ბოლო მოუღო წინადადებებს საქართველოსა და უკრაინის ნატო-ში სწრაფად მიღების თაობაზე, ამასთან, გამოცემის აზრით, შეარყია ნდობა სააკაშვილის მიმართ.

“თაიმსი” ასევე აღნიშნავს, რომ საქართველო პოლიტიკურ გამარჯვებაშია დარწმნუნებული: მან დასავლეთის საზოგადოებრივი აზრი რუსეთის წინააღმდეგ განაწყო და სხვა ქვეყნების თანაგრძნობა მოიპოვა. **“თბილისმა მიაღწია იმას. რომ რუსეთის ახალ შეტევაზე დასავლეთის რეაქცია მყისიერი იქნება**”, - წერს გამოცემა

**“თუმცა, სინამდვილეში ომი ორივე ქვეყნისთვის კატასტროფა გახდა”,** - აღნიშნავს “თაიმსი” სარედაქციო სტატიაში. რუსეთისთვის ძნელი იქნება აგრესორის იმიჯის ჩამოცილება; საქართველოში კი ოპოზიცია გაძლიერდა, რომელიც სააკაშვილს ადამიანის უფლებების დრღვევაში ადანაშაულებს, ხოლო სამხრეთ ოსეთის დაბრუნებისა და ნატო-ში გაწევრიანების პერსპექტივები ბურუსითაა მოცული.

რუსეთ-საქართველოს ომი, მილოშევიჩის ეთნიკური წმენდების შემდეგ, ევროპაში უსაფრთხოების ყველაზე დიდ კრიზისად იქცა, - წერს გაზეთ “ფაინენშენალ თაიმსში” გამოქვეყნებულ სიატიაში მარშალის ფონდის ტრანსატლანტიკური ცენტრის დეირექტორი რონალდ ასმუსი.

**“მოსკოვმა ცივი ომის შემდგომი პერიოდის ევროპული უსაფთხოების მთავარი წესი დაარღვია - პოსტულატი იმის შესახებ, რომ საზღვრები ევროპაში იარაღის ძალით არ უნდა შეიცვალოს,”** - წერს ექსპერტი.

დასავლეთის მთავარ შეცდომად ასმუსი მიიჩნევს სიტუაციაში ჩაურევლობას მანამ, სანამ კონფლიქტის თავიდან აცილება შესაძლებელი იყო. მისი აზრით, ევროპული უსაფრთხოების სისტემა, რომელსაც პატარა ქვეყნები დიდი სახელმწიფოების **“მტაცებლობისგან”** უნდა დაეცვა, არაეფექტური გამოდგა.

ავტორის აზრით, ომის მიზეზები არ გამქრალა - საქართველო კვლავაც დასავლეთისკენ ისწრაფვის, მოსკოვი კი ცდილობს მას ხელი შეუშალოს. **“ამ პირობებში დასავლეთი უნდა გაერთიანდეს იმ პოზიციის ირგვლივ, რომ ევროპაში თამაშის წესების დამრღვევებს საზღაურის გადახდა მოუწევთ,”** - აღნიშნავს ასმუსი.

დასავლეთი მოსკოვის იმპერიულ ლოგიკას არ უნდა წამოეგოს, - ამის შესახებ წერს გერმანული გამოცემა “დი ველტი”. როგორც სტატიის ავტორი მიიჩნევს, მოსკოვის სახიფათო ნაბიჯები იმაზე მიუთითებს, რომ იგი მხოლოდ ყოფილი საბჭოთა ტერიტორიების დაპყრობით არ დაკმაყოფილდება.

**“კრემლს სურს უკარნახოს მეზობლებს, რომლებსაც საკუთარი გავლენის ზონებად თვლის, მათი სუვერენიტეტის საზღვრები,"** - ნათქვამია სტატიაში. თუმცა ავტორი მიიჩნევს, რომ ამჯერად ღია კონფლიქტამდე საქმე არ მივა, რადგან არც მოსკოვს და არც ვაშინგტონს არ სურს, რომ ახლადგაცხადებული თანამშრომლობის მზადყოფნა ფეხქვეშ იყოს გათელილი.

“დი ველტი" წერს, რომ საქართველოს არ შეუძლია აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე ძალის გამოყენებით გავლენის დაბრუნება და მან ეს არც უნდა გააკეთოს. დასავლეთს აქვს ბევრი მიზეზი იმისათვის, რომ საქართველოსთან დაკავშირებულ კონფლიქტში დათმობაზე არ წავიდეს და საქართველოსა და უკრაინის ნატო-ში სწრაფვაზე საუბარისას, მხოლოდ პირფერული აღიარებებით არ შემოიფარგლოს.

**“დასავლეთი წააგებს, თუ მოსკოვის ლოგიკას მიიღებს, რომელიც წარსული “ველიკოდერჟავული" პოლიტიკიდან მომდინარეობს",** - აღნიშნულია სტატიაში.

# მოედნიდან მუზეუმში

პირველი გვერდიდან

“მოაშორეთ აქედან სტალინი.” სტუდენტების მომზადებულმა პლაკატებმა “საქართველოს კომუნისტური პარტიის” წევრების უკმაყოფილება გამოიწვია. სტუდენტების ორგანიზებულ აქციაზე მისულმა “კომპარტიის” წევრებმა, თავდაპირველად, განაცხადეს, რომ გორის ცენტრში აუცილებლად უნდა იდგას სტალინის ძეგლი. “კომუნისტური პარტიის” გორის ორგანიზაციის ლიდერმა ალექსანდრე ლურსმანაშვილმა აღნიშნა, რომ “სტალინი წარმოადგენს გორის სიმბოლოს და მისი ძეგლი არაფერს აშავებს. რა საჭიროა მისი ადგილის შეცვლა.” შემდეგ კი, მათ საკუთრივ აქციის მონაწილეების საქმიანობა შეაფასეს. ლურსმანაშვილის აზრით, შეკრებილი ახალგაზრდები ხელისუფლების დაკვეთით მოქმედებენ. გორში გამართული დემონსტრაციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა ოთარ ხუციშვილმა “24 საათთან” საუბარში “კომუნისტური პარტიის” წარმომადგენლის განცხადებას უპასუხა. მან განმარტა, რომ “რა თქმა უნდა, ისინი არ იტყვიან, რომ გორელმა სტუდენტებმა თავისი ინიციატივით დაგეგმეს აქცია. თუმცა, მინდა გითხრათ, რომ აქცია მხოლოდ ჩვენ გორელმა სტუდენტებმა გავაკეთეთ.”

გორელი სტუდენტების საინიციატივო ჯგუფი სტალინის ძეგლის გადატანის მოთხოვნით, საქმიანობას აგრძელებს. მათ შიდა ქართლის გუბერატორ ლადო ვარძელაშვილისა და გორის საკრებულოს თავმჯდომარე ზვიად ხმალაძის სახელზე მიმართვა მოამზადეს. მასში აქცენტი გაკეთებულია რუსეთის ფედერაციის ბოლო დროინდელ ქმედებებზე. “საქართველოს ისტორია თავისუფლებისთვის ბრძოლაა და ამისთვის მუდამ ისჯებოდა ჩვენი ქვეყანა. 2008 წლის აგვისტოს ომი და რუსული ჯარების მხრიდან საქართველოს ოკუპაცია, კიდევ ერთი მცდელობა იყო წაერთმიათ თავისუფლება ჩვენი ქვეყნისთვის. შარშან, აგვისტოს დღეებში, ამას სტალინის პოლიტიკური შთამომავლები აკეთებდნენ და აკეთებენ დღესაც. ისინი ბომბავდნენ გორს, ქართულ სოფლებს და საქართველოს სხვა ქალაქებს,” - წერია მიმართვაში. სტუდენტები, აგრეთვე მიიჩნევენ, რომ სტალინის ძეგლი არ იმსახურებს გორის ცენტრში დგომას. მიმართვაში აღნიშნულია, რომ “მოვითხოვთ, ძეგლი გადავიდეს იქ, სადაც ისტორია ინახება - მუზეუმში, ხოლო ამ ძეგლის ადგილზე დაიდგას თავისუფლების სიმბოლო - სვეტი, რომელზედაც ამოიტვიფრება 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული ჩვენი გმირების სახელები. მათ ეს დაიმსახურეს!”

# "ვისოლის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ახალი პოსტი

"ვისოლის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე სოსო ფხაკაძე გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელად აირჩიეს. გლობალური შეთანხმება კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის კუთხით ყველაზე ფართო ქსელია მსოფლიოში. დღესდღეობით ის 6500-ზე მეტ ბიზნეს კომპანიას აერთიანებს 130-ზე მეტ ქვეყანაში. გლობალური შეთანხმების საქართველოს წარმომადგენლობის ყოველწლიურ შეხვედრაზე შეიქმნა სამეთვალყურეო კომიტეტი, რომლის წევრებად, სოსო ფხაკაძის გარდა, აირჩიეს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ხელმძღვანელი მაიკლ ქოუგილი, ბანკ “რესპუბლიკის” ხელმძღვანელი ჟილბერტ ი, “ბიპის” წარმომადგენელი გიორგი ღვალაძე და გაეროს განვითარების პროგრამის ხელმძღვანელი საქართველოში ინიტა პაულოვიცა.

"ვისოლის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით: “ჩემთვის დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა ვიყო მსოფლიოში ყველაზე ფართო ქსელის წარმომადგენელი საქართველოში, რომელიც ქვეყანაში კერძო სექტორის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის კუთხით გააქტიურებას უწყობს ხელს. “ვისოლის” მიზანია სწრაფვა სრულყოფილებისაკენ. ჩვენი წარმატებული ბიზნესსაქმიანობით, უპირველეს ყოვლისა, გვინდა წვლილი შევიტანოთ საზოგადოებრივი კეთილდღეობის და ძლიერი ეკონომიკის მქონე ქვეყნის მშენებლობაში. ძლიერი ეკონომიკა კი დასაქმებულ ადამიანებს, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვასა და განვითარებულ ინფრასტრუქტურას, მაღალ ინტელექტუალური კადრების არსებობასა და ქვეყნის მდგრად განვითარებას ნიშნავს."

გაეროს გლობალური შეთანხმების სამეთვალყურეო კომიტეტი ხელს შეუწყობს ბიზნეს ეთიკის ძირითადი პრინციპების დაცვის წახალისებას საქართველოში.

*საკუთარი ინფორმაცია*

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:** მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი),
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49.* კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# ბაგრატის ტაძარში დაკრძალული ქალბატონის იდენტიფიკაციისათვის

პირველი გვერდიდან

უნიკალურ აღმოჩენას გამოეხმაურა სეპარატისტული აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბაც (პროფესიით ისტორიკოსი), რომელმაც არ გამორიცხა, რომ ბაგრატის ტაძარში დაკრძალული ბანოვანი მართლაც ერთ-ერთი აფხაზი დედოფალი იყოს. შამბას განმარტებით, ეს რეალურია, რადგანაც VIII-IX საუკუნეებში აფხაზეთის სამეფოს დედაქალაქი ქუთაისში იყო. სააგენტოების ინფორმაციით, შამბას ვერსია დაადასტურა თბილისში მოღვაწე აფხაზური წარმოშობის ისტორიკოსმა ზურაბ ანჩაბაძემაც.[6]

დაგეგმილია მიცვალებულის ჩონჩხი გამოკვლევა საქართველოს ეროვნული მუზეუმის ლაბორატორიაში, ხოლო ოქროს ნივთები ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში განთავსდა. ანთროპოლოგების და სხვა სპეციალისტებისგან შემდგარი ჯგუფის გამოკვლევა დაადგენს ამ წარჩინებული ქალბატონის ანთროპოლოგიურ ტიპს, ასაკს და სხვა ყოფით დეტალებს. ასევე დაწვრილებით იქნება შესწავლილ მისი სამკაულები, ანალოგების მოძიების თვალსაზრისით.

ქართულმა სატელევიზიო არხებმა ასევე გადმოსცეს ინფორმაცია მიცვალებულის დაკრძალვის წესის შესახებ, რომელიც შემდეგ წერილობითი სახით ვერსად მოვიპოვე, კერძოდ: მიცვალებული დაკრძალული იყო ქრისტიანთათვის უჩვეულო წესით: მას ფეხები ჰქონდა გადაჯვარედინებული კოჭებთან და ერთი ხელი ედო მკერდთან, ხოლო მეორე მენჯთან. აღნიშნული დამიდასტურა სატელეფონო საუბარში არქეოლოგმა, იულონ გაგოშიძემ (რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებ), რომელმაც სამარხი თავად მოინახულა გათხრის პროცესში. მასვე გავუზიარე ჩემი წინასწარი ვარაუდი სამარხში დაკრძალული ქალბატონის ვინაობის შესახებ. ამჯერად, იგივე ვარაუდი მინდა გავუზიარო მკითხველსაც, თუმცა ვიმეორებ, ეს მხოლოდ წინასწარი ვარაუდია და იგი ემყარება, პირველ რიგში, საისტორიო წყაროთა ცნობებს და გარკვეულ არქეოლოგიურ რეალიებს. ეს ვარაუდი შეიძლება დაადასტუროს ან უარყოს ცხედრის ლაბორატორიულმა შესწავლამ, რომელიც იმედია, მოკლე ხანში დასრულდება.

ჩემი აზრით, ბაგრატის ტაძარში აღმოჩენილი საფლავი უნდა ეკუთვნოდეს აფხაზთა მეფის, ლეონ II-ს (755-800 წწ.) დედას, რომელიც ხაზართა ხაკანის ასული იყო.

რას ემყარება ჩემი მოსაზრება?

საქმე ისაა, რომ "მატიანე ქართლისა"-ს ცნობით, აფხაზეთ-ეგრისის მეფე ლეონ II, აფხაზთა ერისთავის, ლეონ I-ის (დაახ. 720/730-740 წწ.) ძმისწული, ხაზართა ხაკანის ("მეფის") ასულის შვილი იყო. ლეონ II-მ სწორედ ამ ნათესაური კავშირის წყალობით, ხაზართა შემწეობით, თავი დააღწია ბიზანტიაზე დამოკიდებულებას, თავი მეფედ გამოაცხადა და დაიკავა ეგრისი, ანუ მთელი დღევანდელი დასავლეთ საქართველო: **"ხოლო რაჟამს მოუძლურდეს ბერძენნი, გადგა მათგან ერის-თავი აფხაზთა, სახელით ლეონ, ძმის-წული ლეონ ერისთავისა, რომლისად მიეცა სამკAდროდ აფხაზეთი. ესე მეორე ლეონ ასულის წული იყო ხაზართა მეფისა, და ძალითა მათითა გაადგა ბერძენთა, დაიპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე, სახელ-იდვა მეფე აფხაზთა"**.[7]

ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, ლეონმა VIII საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში ეგრის-აფხაზეთის სამეფო 8 ადმინისტრაციულ ერთეულად, საერისთავოდ დაჰყო; მანვე ააშენა ქუთაისის ქალაქი და ციხე-სიმაგრე და აფხაზეთის სამეფო ტახტი ქუთაისში გადმოიტანა.[8]

აქედან გამომდინარე, სრულიად შესაძლებელია, რომ ბაგრატის ტაძარში აღმოჩენილი სამარხი სწორედ ლეონიდების სამეფო დინასტიის დედამთავარს, ხაზართა ხაკანის ასულს ეკუთვნოდეს. ბუნებრივია, რომ მას მნიშვნელოვანი როლი უნდა ეთამაშა ხაზართა ხაკანის მიერ ლეონ მეფისათვის პოლიტიკური მხარდაჭერის აღმოჩენის საქმეში.

ჩემ მოსაზრებას მხარს უჭერს საკითხის ქრონოლოგიური მხარეც - ლეონ II მოღვაწეობდა VIII ს-ის მეორე ნახევარში; 70-იანი წლების მიწურულს, 80-იანი წლების დასაწყისში, ხაზართა დახმარებით, თავი აფხაზთა მეფედ გამოაცხადა და დედაქალაქი ქუთაისში გადმოიტანა. გორაზე, რომელზედაც დღეს ბაგრატის ტაძარი დგას, გაშენდა ლეონიდების სამეფო სასახლე და, როგორც არქეოლოგიურად დასტურდება, იქვე აიგო ბაზილიკური ტიპის ეკლესია, რომლის ნართექსშიდაც უნდა ყოფილიყო დაკრძალული აღნიშნული ქალბატონი. იმდენად, რამდენადაც არქეოლოგთა მიერ სამარხი თარიღდება VIII-IX საუკუნით, სრულიად ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ ეს შეიძლება იყოს ლეონ II-ს დედის, ხაზართა ხაკანის ასულის საფლავი.

გარდა ქართული საისტორიო წყაროების მონაცემებსა და ქრონოლოგიაზე დამყარებული მეცნიერული ლოგიკისა, არსებობს ერთი გარემოებაც, რომელიც მხარს უჭერს ჩემი მოსაზრების მართებულებას. კერძოდ, ვგულისხმობ მიცვალებულის დაკრძალვის წესს. როგორც ზემოთ ითქვა, ქალბატონს ფეხები ჰქონდა გადაჯვარედინებული, ერთი ხელი ედო მკერდთან, ხოლო მეორე მენჯთან. არქეოლოგთა განმარტებით, ასეთი დაკრძალვის წესი ქრისტიანთათვის უჩვეულოა და საქართველოში, აფხაზეთის ჩათვლით, დადასტურებული არ არის. სწორედ ამ გარემოებამაც მაფიქრებინა, რომ ბაგრატის ტაძარში დაკრძალული დიდგვაროვანი ქალბატონი უნდა იყოს ეთნიკურად არა ადგილობრივი (გინდაც ქართული, გინდაც აფხაზური), არამედ უცხო წარმოშობის და სწორედ მისი დაკრძალვის წესის უკან უნდა იმალებოდეს მისივე, ეთნიკური თუ არა, ეთნიკურ-გეოგრაფიული წარმომავლობა მაინც. ყოველ შემთხვევაში, ცხედრის სრულ ანთროპოლოგიურ გამოკვლევამდე, ამგვარ ვარაუდს წინ არაფერი უდგას.

რადგან აფხაზთა მეფის დედის დაკრძალვის წესზე ვსაუბრობთ, პირველ რიგში ვნახოთ რა მდგომარეობაა ამ მხრივ თვით აფხაზეთში. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე გამოკვლეული სამარხებიდან ფეხებგადაჯვარედინებული მიცვალებულის სამარხი აღმოჩენილია წებელდაში, აბგიძრახუს გვიანანტიკური ხანის ორ სამარხში (N9 და N54). ამგვარი დაკრძალვის წესში, წებელდის სამაროვნის გამთხრელი აფხაზი არქეოლოგი მ. თრაფში სარმატული დაკრძალვის ტრადიციას ხედავს.[9]

მეცნიერებაში კამათია იმის შესახებ, თუ რამდენად "სარმატულია" ფეხებგადაჯვარედინებული დაკრძალვის წესი და რამდენად შეიძლება ეს იყოს მიცვალებულის ეთნიკური წარმომავლობის ინდიკატორი.

მაგ. რუსლან არსანუკაევი წერს, რომ მცდარია სპეციალური ლიტერატურაში გამოთქმული აზრი,[10] თითქოს ისეთი დეტალები, როგორიცაა ხელის მტევნის დასვენება მენჯზე და ფეხების გადაჯვარედინება სარმატული (ირანულენოვანი) ტომების დაკრძალვის წესის მახასიათებელი ნიშნებია და ისინი ჩრდილოეთ კავკასიის მთისწინა რაიონებში ამ უკანასკნელთა შეღწევას ადასტურებენ. მისივე თქმით, დაკრძალვის წესის აღნიშნული დეტალები ფართო ანალოგიებს პოულობენ ძირძველ ადგილობრივ (*საუბარია ჩეჩნეთ-ინგუშეთის ტერიტორიაზე; ნ. ნ.*) დაკრძალვით ნაგებობებში არა მხოლოდ ჩვ. წელთაღრიცხვით I ათასწლეულში,[11] არამედ ჩვ. წელთაღრიცხვამდე II ათასწლეილშიც.[12] როგორც ჩანს, კავკასიაში მათ ძალიან ძველი ტრადიცია აქვთ. რ. არსანუკაევის აზრით, სრულიად სწორად აღნიშნავდა ვ. ბ. კოვალევსკაია,[13] რომ ჩრდილოეთ კავკასიის სამაროვანთა განხილვისას, ისეთი დეტალები, როგორიცაა გადაჯვარედინებული ფეხები და ხელის მტევნის მენჯზე დასვენება არ შეიძლება განიხილებოდეს, როგორც სარმატული (ირანული) გავლენის ნიშანი.[14]

ამავე აზრისაა მ. მოშკოვა, რომელიც წერს: "პრინციპს "საფლავის ფორმა - ეთნოსი" არ ეხმარება წესის არც ისეთი მიკროდეტალები, როგორიცაა ფეხების გადაჯვარედინება, ან ხელების დასვენება მენჯის ძვლებზე, თეძოებზე. როგორც სამართლიანად აღმიშნავდა ი. ს. კამენეცკი,[15] ფეხების გადაჯვარედინების წესმა ყველაზე დიდი გავრცელება ჰპოვა თავიდან (ძვ. წ. I ს - I ს. ახ. წ.) ყუბანზე მეოტებთან (11,1%), სარმატებთან კი მხოლოდ II-III სს. ახ. წ. მაგრამ ამ შემთხვევაშიც ეს ნიშანი შეადგენს 7%-ზე ნაკლებს (366 სამარხიდან). ვფიქრობ, რომ არც მეოტებისთვის და არც სარმატებისთვის წესის ეს დეტალი არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც ეთნიკური ნიშანი. ყველაზე დამაჯერებლად გვეჩვენება მისი დაკავშირება რომელიღაც რელიგიურ წარმოდგენებთან, რომელთა მიხედვითაც, ნათესავები ზოგიერთი თავიანთი მიცვალებულისთვის ფეხების შეკვრას აუცილებლად მიიჩნევდნენ".[16]

ვფიქრობ, სწორი უნდა იყოს არსანუკაევის და მოშკოვას მოსაზრება იმის შესახებ, რომ ფეხბგადაჯვარედინებული, მენჯზე დასვენებული ხელის მტევნით დაკრძალვის წესი არ შეიძლება მივაკუთვნოთ რომელიმე კონკრეტულ ეთნოსს და იგი დაკავშირებული უნდა იყოს გარკვეულ რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებთან, რომელიც გავრცელებული უნდა ყოფილიყო ჩრდილოეთ კავკასიისა და მისი მთისწინეთის ტერიტორიაზე, ხანგრძლივი ისტორიული დროის მანძილზე, სხვადასხვა ხალხებში, ურთიერთზეგავლენის წყალობით.

რაც ჩვენთვის, ამჯერად, ყველაზე მნიშვნელოვანია, აღნიშნული დაკრძალვის წესი გავრცელებული ყოფილა ჩრდილოეთ კავკასიასა და მის მთისწინეთში ჩვენთვის საინტერესო პერიოდშიც, როგორც არაქრისტიან, ასევე ქრისტიან მოსახლეობას შორის.

არქეოლოგიურ ლიტერატურაში დმიტრიევსკის სახელით ცნობილი სამაროვანი[17] ეკუთვნოდა ბინადარ და ნახევრადბინადარ ალანო-ბოლგარულ მოსახლეობას, რომელიც ე. წ. სალტოვო-მაიაცკის, ანუ ხაზართა ხაკანატის კულტურას განეკუთვნება (განფენილია მდ. სევერსკი დონეცის ტყე-სტეპებში). დმიტრიევსკის სამაროვანის სამარხთა ძირითადი მასა IX საუკუნით თარიღდება. აღნიშნულ სამაროვანზე 25-დან 50 წლამდე ქალთა სამარხების უმრავლესობაში, რომლებიც ამულეტებით იყვნენ შემკულნი, მიცვალებულებს ფეხები ჰქონდათ გადაჯვარედინებული (ე. ი. შეკრული), ან კიდევ კიდურები ნაწილობრივ, ან მთლიანად ჰქონდათ დაზიანებული. როგორც ცნობილია, ეს იმის ნიშანია, რომ ცოცხლებს სურდათ, მიცვალებული მაქსიმალურად გაეუვნებელყოთ და არ მიეცათ მისთვის საფლავიდან წამოდგომის შესაძლებლობა[18] ჩანს, რომ ყველაზე საშიშად ითვლებოდნენ ამულეტიანი ქალები, ანუ ისინი, ვინც განსაკუთრებული ზებუნებრივი ძალით იყვნენ დაჯილდოვებულნი და რომელთა ძალის სიკვდილის შემდეგ დასუსტება სასურველად ითვლებოდა. სავარაუდოდ ეს ქალები სახლის ქურუმები უნდა ყოფილიყვნენ[19].

ჩეჩნეთ-ინგუშეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი კატაკომბურ სამაროვანში (VIII-XII სს.) დაკრძალულ მიცვალებულთა დიდ ნაწილს ფეხები გადაჯვარედინებული ჰქონდა.[20] როგორც ცნობილია, ჩეჩნეთ-ინგუშეთის ტერიტორია ხაზართა ხაკანატის სიძლიერის დროს (VIII-X სს.) მის შემადგენლობაში შედიოდა.

რაც შეეხება ქრისტიანულ სამარხებს: ჩრდილოეთ კავკასიაში, კერძოდ დაღესტნის რესპუბლიკის შამილის რაიონის სოფ. ურადას (ავარეთი) ქრისტიანულ სამაროვანში დაფიქსირებულია ქრისტიანთა დაკრძალვის ფაქტები წვივებში გადაჯვარედინებული ფეხებით (N2, 3, 4 და 5 სამარხები). ურადას სამაროვანი სპეციალისტა მიერ დაახ. X-XIV სს-ებით თარიღდება.[21] დაღესტნის ეს ნაწილი, ავარეთი - ხაზართა ხაკანატის მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა.

ახლა დავუბრუნდეთ ისევ ბაგრატის ტაძარში დაკრძალულ ქალბატონს. ის ფაქტი, რომ ეს ქალბატონი ქრისტიანი იყო, ეჭვს არ იწვევს, რადგან იგი "ბაგრატამდელი", VIII საუკუნის ტაძრის ნართექსში იყო დაკრძალული. შუაბიზანტიურ პერიოდში დიდგვაროვან საერო პირთა (როგორც მამაკაცის, ასევე ქალის) დაკრძალვა მიღებული იყო სწორედ ეკლესიის ნართექსში (და არა ნაოსში, დარბაზში, როგორც ამას ზოგიერთები შეცდომით ფიქრობენ).[22]

ისიც ნათელია, რომ ამ ქალბატონის სამარხის ინვენტარი და დაკრძალვის წესი მას განასხვავებს იმავე პერიოდის საქართველოში აღმოჩენილი ყველა სხვა ქრისტიანული სამარხისაგან. ინვენტარის (სამკაულების) შემთხვევაში უნდა დაველოდოთ სპეციალისტთა დასკვნებს, თუ სად, იმდროინდელი მსოფლიოს რომელ ნაწილში დაეძებნება მას ანალოგები; მაგრამ რაც შეეხება დაკრძალვის წესს, ვფიქრობ აშკარაა, რომ ფეხბგადაჯვარედინებული და ხელის მტევნის მენჯზე დასვენების ნიშნებით იგი უნდა დავუკავშიროთ ჩრდილოეთ კავკასიას, კერძოდ კი ხაზართა ხაკანატს (ვიმეორებ, არა ეთნიკურად), რომელიც VIII საუკუნეში იმ რეგიონის უმთავრეს პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდა.

როგორც ზემოთ ითქვა, ფეხბგადაჯვარედინებული დაკრძალვის წესი არ შეიძლება დავაკავშიროთ ერთ რომელიმე ეთნოსთან და იგი ჩრდილო კავკასიაში გავრცელებულ ძველ რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებთან უნდა იყოს კავშირში. ის, რომ ქრისტიანი ქალბატონის დასაფლავების წესში ეს წარმართული მიკროდეტალი იჩენს თავს, ვფიქრობ არ უნდა იყოს დიდი დაბრკოლება. საქმე ისაა, რომ აფხაზეთში გამოთხოვილ ხაზართა ხაკანის ასულს, ლეონ II-ს დედას, უეჭველად თან გამოჰყვებოდა როგორც ხაზართა ხაკანატის ელიტის ნაწილი (მაგ. დედამძუძე და მისი ოჯახი), ასევე შედარებით დაბალი ფენის საკმაო რაოდენობით წარმომადგენლები, მოსამსახურეთა სახით. სრულიად დასაშვებია, რომ აფხაზეთის სამეფოს დედოფლის, ხაზართა ხაკანის ასულის დაკრძალვის ქრისტიანული ცერემონიალის ეთნოგრაფიული "გაფორმება" - ფეხების გადაჯვარედინება მოხდა მისი თანმხლები ხაზარი ელიტის და მოსამსახურეთა მონაწილეობით, რომელთაც თავიანთი, ანუ ხაკანატის ტერიტორიაზე გავრცელებული ჩვევების თანახმად, ფეხები გადაუჯვარედინეს მიცვალებულს (სრულიად შესაძლებელია, რომ ეს მოსამსახურეები არც იყვნენ ქრისტიანები). აქვე უნდა გავითვალისწინოთ ის პოლიტიკური გარემოებაც, რომ ლეონ II-ს აფხაზეთ-ეგრისში გამეფება სწორედ ხაზართა დახმარების ხარჯზე გახდა შესაძლებელი და აქედან გამომდინარე, აფხაზეთის სამეფო კარზე ხაზართა გავლენა საკმაოდ დიდი უნდა ყოფილიყო.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას შემდეგი: ქართული საისტორიო წყაროებსა ("მატიანე ქართლისა", ვახუშტი ბაგრატიონი) და წინასწარი არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე, ბაგრატის ტაძარში 2009 წლის 4 აგვისტოს აღმოჩენილი დიდგვაროვანი ქალბატონის სამარხი, ჩემი ვარაუდით, უნდა ეკუთვნოდეს აფხაზეთ-ეგრისის მეფის, ლეონ II-ს დედას, ხაზართა ხაკანის ასულს, რომელიც გარდაცვლილა აფხაზთა სამეფოს დედაქალაქის ქუთაისში გადმოტანის შემდეგ (VIII ს-ის 80-იანი წლების დასაწყისი) და დაკრძალულა მისი შვილის მიერ აგებული ლეონიდების დინასტიის საგვარეულო ტაძრის ნართექსში, რომლის ნაგრევებზედაც შემდეგ ბაგრატის საკათედრო ტაძარი აიგო.

***P.S.** წერილი უკვე დასრულებული იყო, როდესაც კვლავ ვესაუბრე ტელეფონით ბ-ნ იულონ გაგოშიძეს, რომლმაც მომაწოდა ინფორმაცია, რომ ანთროპოლოგთა მიხედვით, ბაგრატის ტაძარში დაკრძალული ქალბატონის ასაკმა გადაიწია 20-25 წლამდე (კბილების მიხედვით, თავის ქალა ჯერ კიდევ შესწავლის პროცესშია). ამ შემთხვევაში, შესაძლოა ეს ქალბატონი ლეონ II-ს არა დედა, არამედ და იყოს. ყოველ შემთხვევაში, მისი ჩრდილო კავკასიაში გავრცელებული დაკრძალვის წესი მეტყველებს აფხაზთა სამეფო კარის ახლო კავშირზე ხაზართა ხაკანატთან, როგორც ამას ქართული საისტორიო წყაროებიც ადასტურებენ.*

1. http://rustavi2.com/news/news-textg.php?id-news=33035&pg=1&im=main&ct=0&wth
2. http://www.tavisupleba.org/content/article/1793229.html
3. იქვე.
4. http://www.interpressnews.ge/ge/index.php/permalink/105804.html&hd-line=1
5. http://www.patriarchia.ru/db/text/713877.html; http://www.pravoslavie.ru/news/31469.html და სხვ.
6. http://www.abkhaziya.org/news-detail.html?nid=23595; http://www.interpressnews.ge/ge/index.php/permalink/105914.html
7. ქართლის ცხოვრება, ტ. I, სიმ. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1955, გვ. 251.
8. ვახუშტი, ქართლის ცხოვრება, IV, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ. 1973, გვ. 796.
9. **Трапш М. М.**, Культура цебельдинских накрополей. Труды, Т. 3, Тб., 1971, ст. 121; მითითებულია ირმა ბერძენიშვილის შრომიდან: ი. ბერძენიშვილი, ქრისტიანობის გავრცელების საკითხი აფხაზეთში არქეოლოგიური მასალების მიხედვით (IV-VIII სს), დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, ხელნაწერის უფლებით, თბ. 2006, გვ. 120.
10. Виноградов В.Б. Сарматы Северо-Восточного Кавказа. Грозный, 1963. С.14; Алексеева Е.П. Древняя и средневековая история Карачаево-Черкесии. С.84.
11. Багаев М.Х. Раннесредневековый могильник у селения Харачой // АЭС. Т. 4. 1976. С.76-80; Мамаев Х.М., Даутова Р.А. Кенхенский 1-й могильник в верховьях реки Шаро-Аргун // Памятники эпохи раннего железа и средневековья Чечено-Ингушетии. Грозный, 1981.С.15; Алексеева Е.П. Древняя и средневековая история Карачаево - Черкесии. М., 1971.С.84; Даутова Р.А. Новые материалы по средневековой археологии горной Чечни // Археологические памятники Чечено-Ингушетии. Грозный, 1979. С.80; и др.
12. Марковин В.И. Новый памятник эпохи бронзы в горной Чечне // ДЧИ. М., 1963. С.66, 72; Крупнов Е.И., Мерперт Н.Я. Курганы у станицы Мекенской // ДЧИ. М., 1963. С.22; Артамонова-Полтавцева О.А. Культура северо-восточного Кавказа в скифский период // СА. № XIV. 1950. С.25, 29; и др.
13. Ковалевская В.Б. Кавказ и аланы. М., 1984. С.79-80.
14. Р. Арсанукаев, Вайнахи и аланы, http://www.zhaina.com/history/page,7,125-vajjnakhi-i-alany.html; ზემოთ ჩამოთვლილი ლიტერატურა მითითებულია არსანუკაევის შრომიდან.
15. Каменецкий И. С. Население Нижнего Дона в I—III вв. н. э. Автореф. дис. на соиск. учен. степ. канд. ист. наук. М., 1965. С.14.
16. М. Г. Мошкова. К вопросу о катакомбных погребальных сооружениях как специфическом этническом определителе. История и культура сарматов. Саратов, 1983 г. Ст. 29-30
17. Плетнева С А. На славяно-хазарском пограничье. Дмитриевский археологический комплекс. М., 1989; Она же. Средневековые амазонки в европейских степях // Археологические памятники лесостепного Подонья и Поднепровья I тысячелетия н.э. Воронеж, 1983. С. 14-15.
18. Плетнева С А. На славяно-хазарском пограничье. Дмитриевский археологический комплекс. М., 1989. С. 183-191.
19. С.А. Плетнева. "Амазонки" как социально-политическое явление. "Культура славян и Русь". М., 1998 г., стр. 529-537; იხ. ვებ-გვერდზე: http://liberea.gerodot.ru/a-hist/amazon02.htm.
20. ОАК за 1888 г. С. CCIII - CCIV; Круглов А.П. Археологические раскопки в Чечено-Ингушетии летом 1936 г. // Зап. ЧИНИИИЯЛ. Т. I. Грозный, 1938. С.12.
21. Патимат Тахнаева. Христианская култура средневековой Аварии (VII-XVI ВВ.) в контексте реконструкции политической истории; Диссертация на соискание ученой степени канд. историчесских наук. Махачкала, 2001 იხ. ინტერნეტ გვერდზე: http://www.krotov.info/history/10/3/avar-03.htm
22. R. Ousterhout, Master Builders of Byzantium. University of Pennsylvania Museum Publications, 2008, p. 119.

## აშშ-ს "სამხრეთ ნაკადი" "ნაბუკოს" კონკურენტად არ მიაჩნია

აშშ-ს "სამხრეთ ნაკადი" "ნაბუკოს" გაზსადენის კონკურენტად არ მიაჩნია, - ამის შესახებ სააგენტო "ტრენდს" ენერგეტიკის საკითხებში აშშ-ის სპეციალურმა წარმომადგენელმა რიჩარდ მორნინგსტარმა განუცხადა. "დარწმუნებულები ვართ, რომ კონკურენციაზე მნიშვნელოვანი თანამშრომლობაა," - აღნიშნა მორნინგსტარმა. მისი თქმით, ამერიკის ენერგეტიკული პოლიტიკა მდგომარეობს იმაში, რომ მოხდეს ევროპის ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფა სხვადასხვა რესურსების დახმარებით. "ევროპისთვის აუცილებელია თურქეთის, აზერბაიჯანისა და რუსეთის რესურსებიც კი, მაგრამ ჩვენ არ გვსურს, ამ მხრივ, კონკურენციის შექმნა," - აღნიშნა მორნინგსტარმა. **ინტერპრესნიუსი**

## Goldman Sachs-ის თანამშრომლებმა, შესაძლოა, რეკორდულად დიდი ბონუსები მიიღონ

"ფაინენშალ თაიმსის" თანახმად, ამერიკული ბანკის Goldman Sachs-ის თანამშრომლებმა, შესაძლოა, 2009 წლის შედეგით რეკორდულად დიდი ბონუსები მიიღონ, თუ კომპანია ზრდის ტემპს შეინარჩუნებს. Goldman-მა გამოაქვეყნა ფინანსური ანგარიში, რომელმაც ყველაზე ოპტიმისტურ პროგნოზებს გადააჭარბა: კომპანიის შემოსავლები 65 პროცენტით ანუ 3,44 მლრდ აშშ დოლარით გაიზარდა, ამონაგებმა კი 13,76 მლრდ აშშ დოლარს მიაღწია. გამოცემა აღნიშნავს, რომ ბონუსები Goldman-ს, რომელმაც აშშ-ის მთავრობისგან 10 მლრდ აშშ დოლარის დახმარება მიიღო, მასშტაბური საზოგადოებრივი პროტესტის სამიზნედ აქცევს. ამერიკელი კანონმდებლები შეწუხებული არიან Goldman-ის მიერ ტოპმენეჯმენტზე უზარმაზარი ბონუსების გადახდის გეგმებით. ვაშინგტონში დარწმუნებული არიან, რომ სწორედ ბონუსების კულტურამ ფინანსური ორგანიზაციების მმართველების სარისკო გადაწყვეტილების მიღების მოტივირება მოახდინა, რაც კრიზისის მიზეზი გახდა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ინდონეზიის ერთ-ერთი ყველაზე საშიში ტერორისტი მოკლეს

ტელეკომპანია "სი-ენ-ენი"-ს ინფორმაციით, ინდონეზიის პოლიციამ სპეცოპერაციის შედეგად სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ტერორისტი ნურდინ მუჰამედ ტოპი მოკლა. ტელეკომპანიის ცნობით, ნურდინი იავის ცენტრში სამალავზე მიტანილი იერიშისას მოკლეს. წარმოშობით მალაიზიელ ნურდინს ბრალად ედება 2003 წლის შემდეგ ინდონეზიაში განხორციელებული რამდენიმე შეტევის მოწყობა, რომელთა შედეგად 50-მდე ადამიანი დაიღუპა. **ინტერპრესნიუსი**

## მავრიტანიაში საფრანგეთის საელჩოს ცეცხლი გაუხსნეს

ტელეკომპანია "ბი-ბი-სი"-ს ცნობით, მავრიტანიის დედაქალაქში საფრანგეთის საელჩოს ცეცხლი გაუხსნეს. ტელეკომპანიის თანახმად, საფრანგეთის საელჩოს შენობისთვის ცეცხლის გახსნის შედეგად დაცვის ორი თანამშრომელი მძიმედ დაიჭრა. გარდაიცვალა ერთი თავდამსხმელი, რომელიც საელჩოს შენობას ესროდა. მომხდარ თავდასხმაზე პასუხისმგებლობა არც ერთ დაჯგუფებას არ აუღია. მავრიტანიის ხელისუფლება მომხდარ ფაქტზე პასუხისმგებლობას ისლამისტურ დაჯგუფებებს აკისრებს. **ინტერპრესნიუსი**

## ვოლგოგრადის ოლქში გაზის ჭაბურღილზე გაჩენილი ხანძრის ჩაქრობას რამდენიმე დღეა ცდილობენ

ვოლგოგრადის ოლქში გაზის ჭაბურღილზე გაჩენილი ხანძრის ჩაქრობას რამდენიმე დღეა ცდილობენ. "რია ნოვოსტის" ცნობით, კუდინოვსკის საბადოს 320-ე ჭაბურღილზე პარასკევს გაჩენილი ხანძრის ჩაქრობა ჯერჯერობით ვერ ხერხდება. წინასწარი ინფორმაციით, ხანძარი იმის გამო გაჩნდა, რომ უცნობები გაზის კონდესანტის მოპარვას ცდილობდნენ. შემთხვევის ადგილზე საგანგებო სიტუაციების მთავარი სამმართველოს ოპერატიული შტაბი მოქმედებს. ხანძრის ჩაქრობა ჭაბურღილის სიღრმის გამო რთულდება. მისი სიღრმე 3 კილომეტრს შეადგენს. **ინტერპრესნიუსი**

## იაპონიაში ძლიერი მიწისძვრა მოხდა

იაპონიაში მომხდარი ძლიერი მიწისძვრის შესახებ "ლენტა რუ" "ფრანს პრესზე" დაყრდნობით იუწყება. მიწისქვეშა ბიძგების სიმძლავრემ 7 ბალი შეადგინა. მიწისძვრის შედეგად დაშავებულების შესახებ ინფორმაცია ჯერჯერობით არ ვრცელდება. მიწისძვრის ეპიცენტრი ტოკიოდან 309 კმ-ის მოშორებით დაფიქსირდა. მიწისქვეშა ბიძგები ტოკიოს მოსახლეობამაც იგრძნო. **ინტერპრესნიუსი**

# ევროკავშირი ირანიდან ელჩების გაწვევას აპირებს

მარიკა იაშვილი

ახლო მომავალში ევროკავშირის წევრი ქვეყნების ელჩები ირანს დატოვებენ. ასეთია საპასუხო ქმედება, რომელსაც ორგანიზაცია ირანის მიერ ევროპული საელჩოების წარმომადგენლებისა და ევროპის მოქალაქის გასამართლების გამო განახორციელებს. გარდა ამისა, ევროკავშირი დამატებით სავარაუდო ნაბიჯების ვარიანტებს განიხილავს, რომლებიც უახლოეს პერიოდში შესაძლოა ირანის წინააღმდეგ გამოიყენოს.

ევროპული ორგანიზაციის მესვეურთა აღშფოთება თეირანში დაწყებულმა სასამართლო პროცესმა გამოიწვია, რომელზეც ბრალდებულის რანგში ბრიტანეთისა და საფრანგეთის საელჩოების თანამშრომლები და საფრანგეთის მოქალაქე გამოდიან. მათ ბრალი 12 ივნისს ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მომხდარი ანტისამთავრობო გამოსვლებისა და არეულობების ორგანიზებაში, ჯაშუშობასა და ქვეყანაში "ხავერდოვანი რევოლუციის" მომზადებაში ედებათ. საფრანგეთის საელჩოს თანამშრომლებს ორმაგი მოქალაქეობა აქვთ, ხოლო 24 წლის ფრანგი კლოტილდა რეისი ირანის დედაქალაქში უნივერსიტეტში უცხო ენების ლექტორის ასისტენტი იყო. ევროკავშირში აცხადებენ, რომ ირანის მიერ გადადგმული ნაბიჯი, შესაძლოა მთელი ევროკავშირის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად შეფასდეს და შესაბამისი რეაქცია გამოიწვიოს.

ამ დროისთვის არსებული ინფორმაციით, ევროკავშირი ირანელების მიერ წამოწყებული პროცესის



*კლოტილდა რეისი სასამართლო მოსმენაზე*

AFP © 2009

საპასუხოდ თეირანიდან ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყნის ელჩების ერთდროულად გაწვევასა და დამატებითი ფინანსური სანქციების შემოღებას გეგმავს. საპასუხო ქმედებათა ფორმულას ამ დროისათვის ორგანიზაციის თავმჯდომარე ქვეყანა - შვედეთი ამუშავებს.

ამავდროულად, დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა დევიდ მილიბენდმა განაცხადა, რომ ბრიტანეთის საელჩოს თანამშრომლის, ეროვნებით ირანელი ჰოსეინ როსამის წინააღმდეგ წაყენებული "ბრალდებები უსამართლოა და ირანს დისკრედიტაციას" უწევს.

"ძალიან ვარ შეშფოთებული იმ უსამართლო ბრალდებების გამო, რაც ოფიციალურმა თეირანმა როსამს წაუყენა," - ხაზგასმით აღნიშნა მინისტრმა. გარდა ამისა, მისივე თქმით, იგი დარწმუნებულია, რომ დიდი ბრიტანეთის საელჩოს არც ერთი თანამშრომელი, მათ შორის არც ადგილობრივები, "შეუფერებელ ქმედებებში არ იყვნენ ჩათრეული."

დევიდ მილიბენდმა ისიც განაცხადა, რომ დიდ ბრიტანეთს აქტიურად უჭერს მხარს საფრანგეთი, რომლის მოქალაქე აგრეთვე ფიგურირებს ჯაშუშობის საქმეში და შვედეთი. "ირანის ბოლო პროვოკაციის წინააღმდეგ ჩვენ სოლიდარობას ვინარჩუნებთ," - განაცხადა ბრიტანელმა მინისტრმა.

ამავდროულად, თეირანში დიდი ბრიტანეთის საელჩოს წარმომადგენელი მიმდინარე სასამართლო პროცესს "აღმაშფოთებელს" უწოდებს. ის ირანს მიღწეული შეთანხმებებისა და ჰოსეინ როსამთან დაკავშირებული მიცემული გარანტიების დარღვევაში ადანაშაულებს. როსამს საელჩოში ანალიტიკური განყოფილების უფროსის პოსტი უკავია.

საელჩოს წარმომადგენელი არ აკონკრეტებს, ლონდონსა და თეირანს შორის მიღწეული შეთახმებები და გარანტიები რა შინაარსის არის.

44 წლის როსამი თეირანში ოპოზიციის მსხვილმასშტაბიანი გამოსვლების შემდეგ დააკავეს, რომლებიც 12 ივნისს ჩატარებულ არჩევნებს მოჰყვა. მასთან ერთად დაკავებული იყო საელჩოს კიდევ 8 თანამშრომელი, რომლებიც მოგვიანებით გაათავისუფლეს. როსამს კი ქვეყნის ხელისუფლება ჯაშუშობასა და მიტინგების ორგანიზებაში ადანაშაულებს.

ეს უკვე მეორე ჯგუფია, რომელსაც საპროტესტო გამოსვლების შემდეგ ასამართლებენ.

გასულ კვირას სასამართლოს წინაშე 100-ზე მეტი ადამიანი წარდგა. მათ სხვადასხვა ბრალდება წაუყენეს, მათ შორის, დანაშაულებრივ შეთქმულებაში მონაწილეობაც.

ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების მტკიცებით, არჩევნების შემდეგ ქვეყანაში ოპოზიციის რამდენიმე ასეული მომხრე დააკავეს, მათ შორის პოლიტიკოსები, ჟურნალისტები, ადვოკატები, საინიციატივო ჯგუფების წარმომადგენლები და რეფორმისტულად მოაზროვნე პოლიტიკოსთა მხარდამჭერები.

გასული სასამართლო პროცესის დროს რამდენიმე ბრალდებული სახალხო აღიარებით გამოვიდა და განაცხადა, რომ არჩევნების შედეგებით უკმაყოფილებას არეულობის პროვოცირებით განგებ გამოხატავდა. ოპოზიციის ლიდერებმა პროცესებს "საჩვენებელი" უწოდეს.

# მოლდოვაში სამთავრობო კოალიცია გაფორმდა

ივა შილაკაძე

მოლდოვის პოლიტიკური კრიზისის მოგვარების პირველი კონტურები გუშინ გამოჩნდა, თუმცა პარლამენტის ხელახალი არჩევნების შედეგად უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში გასულ პარტიებს ამ გზის ბოლომდე გასავლელად კიდევ სამიოთხი კვირის მუხლჩაუხრელი მუშაობა მოუწევთ. შედეგის მიღწევა კომპრომისებისა და ყველა პოლიტიკურ ძალას შორის პრინციპული შეთანხმების გარეშე შეუძლებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში ახალშექმნილი კოალიცია შეიძლება იგივე ჩიხში აღმოჩნდეს, რომლიდან გამოსვლაც კომუნისტურმა პარტიამ ორი თვის წინ ვერ შეძლო.

აპრილში ჩატარებულ მოლდოვის საპარლამენტო არჩევნებს, რომელშიც მმართველმა კომპარტიამ უმრავლესობა "მოიპოვა", ქვეყნის დედაქალაქში მასობრივი არეულობები მოჰყვა. ოპოზიციურმა პარტიებმა ხელისუფლება ხმების მინიმუმ 10 პროცენტის მოპარვაში დაადანაშაულა. ხელისუფლებამ უკან არ დაიხია, ხმების გადათვლამ შედეგი არ გამოიღო და პარლამენტი მუშაობას შეუდგა. მოლდოვა ნახევრად საპარლამენტო რესპუბლიკაა. კომპარტიამ მოახერხა სპიკერის არჩევა და მთავრობის შექმნა, თუმცა ვერ აირჩია პრეზიდენტი. კონსტიტუციით ამ პროცედურას დეპუტატთა ხმების სამი მეხუთედი, 101 კაციანი პარლამენტის 61 მანდატი სჭირდება, ხოლო კომპარტიას სწორედ ერთი მანდატი დააკლდა. არ გამართლდა პოლიტოლოგთა უმრავლესობის ვარაუდი იმაზე, რომ მმართველ პარტიას იმ ერთი ხმის "შოვნა" არ გაუჭირდებოდა. პარლამენტში გასული სამი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებმა პრინციპულობა და მოქალაქეობრივი სიმტკიცე გამოიჩინეს და კომპარტიის დასახელებული კანდიდატი ორივე კენჭისყრისას ჩააგდეს. ორმოცდაერთი დეპუტატიდან არავინ გაიყიდა, არადა კულუარებიდან გამოჟონილი ინფორმაციით, იმ ერთ დღეს, ერთი ხმის მიცემისთვის მმართველი პარტია თურმე ხუთ მილიონ ევროს იხდიდა. შესაბამისად, რადგან პარლამენტმა პრეზიდენტი ვერ აირჩია, იგი დათხოვნილ იქნა და ახალი არჩევნები ივლისის ბოლოს დაინიშნა.

ამჯერად პარლამენტში ხუთი პარტია გავიდა და ძალთა თანაფარდობაც განსხვავებულია. შემოდგომის არჩევნებზე გასულ ოთხ პოლიტიკურ ძალას - "კომპარტია", "ლიბერალური პარტია", "ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია" და ალიანსი "ჩვენი მოლდოვა", დაემატა "დემოკრატიული პარტია". ამ უკანასკნელმა ხმები, ძირითადად, მმართველი პარტიის "ხარჯზე" მიიღო. კომუნისტები კვლავ პირველ ადგილზე აღმოჩნდნენ, მაგრამ ახლა უკვე ხმების ნახევარზე ნაკლები აქვთ - 48 მანდატი. დანარჩენ პარტიებს ჯამში 53 მანდატი აქვთ. ("ლიბერალურ-დემოკრატიული" - 18, "ლიბერალური" - 15, "დემოკრატიული" - 13, "ჩვენი მოლდოვა" - 7). ამჯერად სერიოზული პროტესტი არ ყოფილა, ეტყობა ძალთა განლაგება, რაც მეტნაკლებად ხალხის განწყობას ასახავს. თითქმის დადასტურდა აპრილში არსებული ბრალდება ხმების დაახლოებით 10 პროცენტის მოპარვის შესახებ.

ყველაზე მეტ ინტრიგას ქმნიდა პარლამენტში გაჩენილი მეხუთე მოთამაშე - "დემოკრატიული პარტია", დანარჩენი პოლიტიკური პარტიების პოზიციები მკაფიოდ ჩამოყალიბებული იყო. საქმე ის არის, რომ "დემოკრატიულმა პარტიამ" მიიღო 13 მანდატი, რაც კომუნისტებთან ერთად მას პრეზიდენტის არჩევის საშუალებას აძლევდა. ეს პარტია კი წინა არჩევნებზე ზუსტად იგივე სიტუაციაში "კომპარტიის" მხარეზე გადავიდა და ვორონინის მეორე ვადით არჩევა, შესაბამისად კი, "კომპარტიის" მმართველი სტატუსი უზრუნველყო. ახლაც მიმომხილველების ნაწილი ასეთი სცენარის გათამაშებას ვარაუდობდა, მიუხედავად იმისა, რომ "დემოკრატიულ პარტიას" ამჯერად სხვა ლიდერი ჰყავს - მარიან ლუპუ. ეს არის "კომპარტიის" ყოფილი ფუნქციონერი და პარლამენტის ყოფილი სპიკერი, რომელიც სულ ახლახან გადავიდა ოპოზიციაში. პოლიტოლოგთა ნაწილი არ გამორიცხავდა, რომ მას, შესაძლოა, უბრალოდ ტროას ცხენის როლი ჰქონოდა დაკისრებული. თუმცა, სკეპტიკოსთა ვარაუდები არ გამართლდა და დემოკრატიული პარტიის არჩევანი მემარჯვენე ცენტრისტული კოალიციის მხარეზე გადაიხარა.

ოთხი პარტიის ლიდერებმა გუშინ გამოაცხადეს, რომ შეთანხმდნენ მომავლის ხედვის ძირითად პრინციპებზე, შეიქმნა 21 პუნქტიანი დოკუმენტი, რომელიც საფუძვლად დაედება მათ თანამშრომლობას. ათდღიანი მოლაპარაკებების შედეგად შეიქმნა მემარჯვენე ცენტრისტული კოალიცია "ალიანსი ევროპული ინტეგრაციისათვის". საგარეო პოლიტიკაში ალიანსი აპირებს ურთიერთობის გამოსწორებას რუმინეთსა და უკრაინასთან, სტრატეგიული პარტნიორობის შენარჩუნებას რუსეთთან, თუმცა ძირითადი მიზანი ევროპასთან დაახლოებაა. კოალიცია იბრძოლებს თავიანთი ქვეყნისათვის ევროკავშირის ასოცირებული წევრის სტატუსის მოსაპოვებლად. მოლდოვას ექნება დაბალანსებული სამხედრო-სტრატეგიული პოლიტიკა, არ განაცხადებს პრეტენზიას ნატო-ს წევრობაზე და ამ ორგანიზაციასთან მხოლოდ პროგრამის - "პარტნიორობა მშვიდობისათვის" ფარგლებში ითანამშრომლებს. შიდა პოლიტიკაში მომავალი კოალიცია აპირებს სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობას, საბაზრო რეფორმების განხორციელებას, ეკონომიკის გათავისუფლებას პოლიტიკური ჩარევისაგან, ძალოვანი სტრუქტურების რეფორმირებას და დეპოლიტიზაციას, მედიის თავისუფლების უზრუნველყოფას და დნესტრისპირეთის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებას. კოალიციის შექმნის შესახებ დოკუმენტს ხელი მოაწერეს პარტიების ლიდერებმა: ვლად ფილატმა (ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია), მიხაი გიმპუმ (ლიბერალური პარტია), მარიან ლუპუმ (დემოკრატიული პარტია) და სერაფიმ ურეკიანმა ("ჩვენი მოლდოვა"). მათ განაცხადეს, რომ პრინციპების შეთანხმების შემდეგ საკადრო საკითხებზე მოლაპარაკება ბევრად უფრო ადვილი იქნება.

გადასაწყვეტი რჩება ერთი სერიოზული პრობლემა - შეთანხმების მიღწევა კომპარტიასთან პრეზიდენტობის ისეთ კანდიდატზე, რომელიც ყველა პოლიტიკური ძალისთვის მისაღები იქნება. კომუნისტებთან ამ საკითხში თანამშრომლობის გარეშე მოლდოვა ისევ პოლიტიკურ ჩიხში აღმოჩნდება და ამჯერად პრეზიდენტის არჩევნებს კომუნისტები დაბლოკავენ. დამოუკიდებლად ახალი ალიანსი მხოლოდ სპიკერს აირჩევს, მთავრობის წევრების შეთავაზებაც პრეზიდენტის პრეროგატივაა. ალბათ არის უკიდურესი შანსიც, რომ ახალმა ალიანსმა უბრალოდ კომპარტიის შემოთავაზებულ კანდიდატს დაუჭიროს მხარი პოლიტიკური კრიზისის თავიდან ასაცილებლად, თუმცა ჯერჯერობით არის იმის იმედიც, რომ მიღწეულ იქნას შეთანხმება ყველასთვის მისაღებ პრეტენდენტზე. პოლიტიკურ ძალებს მოფიქრებისა და კონსულტაციებისათვის დაახლოებით ორი-სამი კვირა აქვთ, პარლამენტის პირველი სხდომა აგვისტოს ბოლოს 20-დან 26-მდე უნდა დაინიშნოს. კომპარტიის წარმომადგენლებმა ისიც არ გამორიცხეს, რომ შეთანხმების შემთხვევაში მხარი შეიძლება დაუჭირონ ახალი სამთავრობო კოალიციის წარმოდგენილ კანდიდატსაც კი, თუ ეს იქნება აპოლიტიკური ან ნეიტრალური პიროვნება. საბოლოო გადაწყვეტილებისთვის ორი კვირა "ითხოვეს", ამჟამად ვორონინი ერთი კვირით თურქეთში გაემგზავრა კუთვნილი შვებულების გასატარებლად.

# გერმანული პრესის მიმოხილვა რუსეთ-საქართველოს ომთან მიმართებაში

## 2008 წელი, 8-18 აგვისტო, როგორც მაგალითი ევროპული მედიის რეაქციისა ომზე

ლაშა ბაქრაძე

გერმანიის პრესის ლანდშაფტი ძალიან მრავალფეროვანია. ევროპის არცერთ ქვეყანაში არ გამოდის იმდენი გაზეთი და ჟურნალი, რამდენიც გერმანიაში. მხოლოდ ყოველდღიური 353 დასახელების გაზეთია გერმანიაში, მაგრამ მათ შორის ზერეგიონალური, საერთოგერმანული ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით სულ ათიოდეა.

სერიოზული, საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე და პოლიტიკაზე დიდი გავლენის მქონე ყოველდღიურ გაზეთად ითვლება ორი - "ზიუდდეოიჩე ცაიტუნგი" (ტირაჟი: დაახლოებით 450 ათასი ეგზემპლარი) და "ფრანკფურტერ ალგემეინე ცაიტუნგი" (350 ათასი). საკუთარი დეფინიციის მიხედვით "ზიუდდეოიჩე ცაიტუნგი" "შუადან ოდნავ მარცხნივ" არის. "ფრანკფურტერ ალგემეინე ცაიტუნგს" პოლიტიკური ნაწილი ლიბერალურ-კონსერვატიულია. ამ გაზეთს ყველაზე მეტი უცხოეთის კორესპონდენტი ჰყავს გერმანულ გაზეთებს შორის და მისი საზღვარგარეთის თემებთან დაკავშირებული კორესპონდენცია ყველაზე სრულყოფილი და მრავლისმომცველია. გაზეთის ეკონომიკური ნაწილი გერმანელი ბიზნესმენების ინფორმაციის უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს.

გერმანულ გაზეთებს შორის, რომელთა განხილვას ჩვენ დროისა და მასალის სიმცირის გამო ახლა ვერ შევუდგებით, აღსანიშნავია აგრეთვე შედარებით მემარცხენე "ფრანკფურთერ რუნდშაუ", მემარცხენე-ალტერნატიული ბერლინული "ტაც" (დი ტაგესცაიტუნგი), ასევე მომემარჯვენე "დი ველტი" (ბერლინი), ლიბერალური ყოველკვირეული, ხანში შესული ინტელექტუალების საყვარელი "დი ცაიტ" (ჰამბურგი) ან საზოგადოების შედარებით დაბალი ფენების საკითხავი ევროპული ბულვარული პრესის ფლაგმანი "ბილდი" (თითქმის 3 მილიონ ნახევარი ტირაჟით - ევროპის ყველაზე მაღალტირაჟიანი გამოცემა). შვეიცარული "ნეოიე ციურიხერ ცაიტუნგი" გერმანიის გარეთ გერმანულენოვან გაზეთებს შორის ყველაზე გავლენიანი გამოცემაა.

ყოველკვირეულ პოლიტიკურ ჟურნალებს შორის ნაირ-ნაირი კონკურენციის მრავალჯერადი მცდელობის მიუხედავად, დაარსების დღიდან (1947 წ.) წამყვანია "დერ შპიგელი" (მისი დამაარსებლისა და მთავარი რედაქტორის რუდოლფ აუგშტაინის (გარდაიცვ. 2002) მოსწრებული გამონათქვამის მიხედვით - "ყოყმანის შემთხვევაში მარცხნივ"). "დერ შპიგელი" გამოდის მილიონზე მეტი ტირაჟით და 6 მილიონზე მეტი ადამიანი კითხულობს მას.



cartoons.courrierinternational

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ დაბეჭდილ გაზეთებზე და ჟურნალებზე ხელი არ მიგვიწვდებოდა (ქალაქ თბილისში, რომელშიც მილიონზე მეტი მცხოვრებია და ქვეყანაში რომელშიც გაუთავებლად ცივილიზირებულ სამყაროში ინტეგრაციაზე ლაპარაკობენ არ იყიდება არცერთი უცხოური გაზეთი ან ჟურნალი, რუსულის გარადა და ახლა ესეც აღარ იქნება). ჩვენ გამოყენებული გვაქვს მათი ონლაინ ვერსიები, სადაც უფრო მეტი იწერება ვიდრე შედეგში დაბეჭდილ ვერსიაში ხვდება.

"დერ შპიგელის" ინტერნეტში განთავსებული ტექსტები **(spiegel.de)** არ შეესაბამება დაბეჭდილებს და დაბეჭდილი სტატიები უფასოდ საიტზე არ დევს. მიუხედავად ამისა ეს ტექსტები, ისევე როგორც გაზეთების ონლაინ ვერსიებისა მნიშვნელოვანია, რადგან შპიეგელ ონლაინ გერმანიის ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი საინფორმაციო ვებსაიტია, 89 მილიონი სტუმრობით და 527 მილიონი საიტის მოთხოვნით **(Page Impression წინათ Page-Views)**

### მიმოხილვა

7 აგვისტოს გაჩნდა პირველი მოზრდილი ცნობები, DPA-სა და სხვა სააგენტოებზე დაყრდნობით, ცხინვალის გარშემო მდგომარეობის ესკალაციის შესახებ და სააკაშვილის მიერ გამოცხადებული ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე.

8 აგვისტოს ყველა მედია იუწყებოდა "ძლიერი ბრძოლების" შესახებ, გაჩნდა ზესათაურები - "ომი სამხრეთ ოსეთში" ან "ომი კავკასიაში". ჯერ არ არის ომის დამწყებზე საუბარი და შეფასება, მტყუანმართლის ძიება. სათაურებში წერია, როგორც "საქართველოს იერიში სამხრეთ ოსეთში" ასევე "რუსები შედიან სამხრეთ ოსეთში". უფრო გაურკვევლობაა ჟურნალისტებს შორის, ისევე როგორც ბრიუსელმა, პარიზმა და ბერლინმა არ იციან რა გააკეთონ, გარდა მშვიდობისკენ მოწოდებისა. "შპიგელთან" ინტერვიუში კავკასიის საკითხების ექსპერტმა უვე ჰალბახმა გამოთქვა აზრი, რომ ეს არ არის რეგიონალური კონფლიქტი. Spiegel online-ზე საღამოთი გამოქვეყნდა სტატია "პოლიტ-ვუნდერკინდ" მიხეილ სააკაშვილზე "სუპერმენი კრიზისში" - მისი კარიერის კრიტიკული მიმოხილვა - "ახლა კი სააკაშვილმა, რომლის შესახებაც განსხვავებული აზრი არსებობს მისი საპრეზიდენტო დროის ყველაზე დიდ კრიზისს უნდა გაართვას თავი: შესაძლო ომს რუსეთთან. კეთილდღეობა, დემოკრატია და გაერთიანებული საქართველო - სამხრეთ ოსეთთან და აფხაზეთთან ერთად: ეს იყო მისი კარიერის დასაწყისში უმნიშველოვანესი პოლიტიკური დაპირებები. ახლა მან უნდა აჩვენოს, სადამდე შეუძლია მას ამისთვის წავიდეს. და მართლაც რამდენს ნიშნავს მისთვის მშვიდობა, თავისუფლება და დემოკრატია."

"პატივმოყვარე" (FAZ) სააკაშვილი ომის დაწყებისთანავე მოექცა მედიის ფოკუსში, "რადგანაც ეს არის დიდი გეოპოლიტიკური თამაში, რომელსაც სააკაშვილი თამაშობს" (FAZ).

9 აგვისტოს ქრისტიან ნეეფი თავის კომენტარში (Spiegel online) წერს: "ომი სამხრეთ ოსეთში", "გენერალური მობილიზაცია საქართველოში", "რუსეთი შეიჭრა": ესენია კვირის ბოლოს ჰედლაინები, როდესაც გაზეთების შემქმნელებს ეგონათ, მხოლოდ ოლიმპიური თამაშები შეძლებდნენ პირველ გვერდებზე მოხვედრას. გაოცება, უფრო სწორედ: გაბრაზება უეცრად პროჟექტორის შუქზე შემოჭრილი კონფლიქტის გამო, იმდენად დიდია, რომ თვით საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა, რომელიც, როგორც ცნობილია, პოლიტიკურად განსაკუთრებულად ფრთხილია - ბრძოლების ესკალაცია გააკრიტიკა: "ეს არაა ის, რისი ნახვაც დღეს მსოფლიოს უნდა". კომენტარი კონფლიქტის ყველა მონაწილე მხარეს აკრიტიკებს, - "მაგრამ მთავარი პრობლემა დასავლეთის პოზიციაა რუსეთის მიმართ, აი უკვე 20 წელია თითქმის. მკაფიოდ ლაპარაკი მოსკოვთან, კარგა ხანია მოდაში აღარაა, რასაც რუსები ყოველთვის როგორც სისუსტეს ისე იგებენ. ნათლად ნათქვამს კი სერიოზულად აქცევენ ყურადღებას."

ის რომ რუსეთი იტყუება, თითქოს სამოქალაქო ობიექტებს არ ბომბავს, აშკარა ხდება, რადგან ქართული ტელევიზიების კადრებიც და უცხოელი დიპლომატებიც საპირისპიროს ადასტურებენ. რუსეთისადმი კრიტიკულ დამოკიდებულებაში მთელი სერიოზული გერმანულ პრესა ერთიანია, რაც არ გამორიცხავს, რომ "სააკაშვილს მოუწევს შეცდომებისთვის პასუხისგება" (Spiegel online).

"ესკალაცია დაიწყო გაზაფხულზე აფხაზეთში"- სათაურია FAZ-ში 10 აგვისტოს. აფხაზეთში გახსნილ მეორე ფრონტზე და რომ პუტინი არ დაუშვებს მისი საქართველოს პოლიტიკის მკაცრი ხაზის შერბილებას გაზეთის რედაქტორი რაინჰარდ ვეზერი უკვე თბილისიდან წერს.

Spiegel online წერს "მშვიდობისმყოფელთა საომარ მიზნებზე" და არათანასწორ "ორთაბრძოლაზე ჯუჯასა და გოლიათს შორის" სტატიაში "დავითი და გოლიათი - რუსეთს სამხედრო თვალსაზრისით შეუდარებელი უპირატესობა აქვს".

11 აგვისტოს მედია იუწყება: "მიუხედავად დასავლეთის კრიტიკისა, კრემლი აგრძელებს აგრესიას", "საქართველოს შეთავაზებული ცეცხლის შეწყვეტის მაგივრად პუტინს უნდა განაგრძოს ომი", "რუსებს "ლოგიკურ დასასრულამდე" უნდათ მიიყვანონ სამხედრო კომპანია", "ათასობით ადამიანი გარბის რუსი დამპყრობლების შიშით", "გაეროს ოფიცრები პოსტებს ტოვებენ" (იგულისხმება: აფხაზეთში). უყურადღებოდ არ რჩება არც ქართველ ოლიმპიელთა ჯერ სამშობლოში დაბრუნების და მერე პეკინში დარჩენის ამბები და არც ვირტუალური ომი - ჰაკერების თავდასხმა ქართულ ვებ-გვერდებზე და არც მსოფლიო ეკონომიკის შიში ნავთობსადენის მგომარეობაზე. მიუნხენის ლუდვიგ-მაქსიმილიანის-უნივერსიტეტის პროფესორი მარტინ შულცე ვეზელი SZ-ში სტატიაში "იმპერია საპასუხოდ ურტყამს", ასკვნის - "მოსკოვის პოლიტიკა აქამდე ემყარება პირდაპირ კლასიკური იმპერიის სტრატეგიას: რესურსების მინიმუმის გამოყენებით არა პირდაპირ იბატონოს, არამედ ჰეგემონიალური ზეგავლენა იქონიოს" სეპარატისტულ რეგიონებზე. რუსეთმა რუსული პასპორტების დარიგებით "საქართველოს დაყოფისა და დესტაბილიზაციის გარდა, ლეგიტიმაცია შექმნა ინტერვეციისათვის "რუსეთის მოქალაქეების" დასაცავად. მისი სამართლებრივი აზროვნებისთვის დასავლეთში წინასწარ დაფნის ფოთლებით შემკულმა პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა არ დააყოვნა, სწორედ ეს დასაბუთება გამოეყენებინა რუსული ინტერვენციის გასამართლებლად. ძველ იმპრეიულ ლოგიკას თავი ვერც მოსკოვის ახალმა კაცმა დააღწია."

სეპარატიზმთან მიმართებაში FAZ-ი წერს: "მართალია ყველა ხალხს აქვს თვითგამორკვევის უფლება, მაგრამ არა უფლება საკუთარი სახელმწიფოს შექმნისა." ეს სტატია "ჩარევის საზღვრები" დასავლეთს აკრიტიკებს სუსტი რეაქციის გამო საქართველოს წინააღმდეგ აგრესიის წინაშე - "ფაქტობრივად რუსეთს შეუძლია დასავლეთის ზოგიერთი რეაქცია მისი საქციელის გამართლებად აღიქვას. მაგალითად, როცა ამერიკის ვიცეპრეზიდენტი ჩეინი "აგრესიის" შესახებ საუბრობს, რომელიც უპასუხოდ არ დარჩება, პრეზიდენტმა ბუშმა მოსკოვი მხოლოდ "გადამეტებულ რეაგირებაში" დაადანაშაულა." რუსეთის ფობიებს აკრიტიკებს ამავე გაზეთის სტატია "ციხესიმაგრეში". მღვდელ ვლადიმირ ვიგილიანსკის, წინა ცხოვრებაში მწერალს, უკითხავს ერხელ ჟისკარ დ'ესტენისთვის, კოლეგა პუტინის ადგილას რას მოიმოქმედებდიო. ჩემ უახლოეს მეზობლებს მეგობრებად ვაქცევდიო, რუსეთს ძალიან ბევრი შორეული მეგობარი ჰყავს, მეზობელ ქვეყნებს კი ძირითადად სძულთო. "უბედურებისგან განკურნებას ისიც აძნელებს, რომ სიძულვილი და შეურაცყოფაა ის არის რაც რუსეთს შიგნიდან კრავს." - ასკვნის ავტორი კერსტინ ჰოლმი.

გაგრძელება A6 გვერდზე

საზაფხულო 25%-იანი ფასდაკლება



# გერმანული პრესის მიმოხილვა რუსეთ-საქართველოს ომთან მიმართებაში

მეხუთე გვერდიდან

რამ უბიძგა სააკაშვილს, "ავანტიურისტს საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე" (ნიკოლოზ სვანიძე - FAZ-თან ინტერვიუში) გადაედგა ნაბიჯები კატასტროფისკენ - "ამაზე პასუხს დოქტორანტები გასცემენ ოცდაათი წლის შემდეგ" - პასუხობს ერთი დიპლომატი FAZ-ს. შპიგელთან ინტერვიუში აღმოსავლეთ ევროპის ექსპერტი კლაუს ზეგბერსი თვლის, რომ "სააკაშვილმა ვერ გათვალა". მიუხედავად საქართველოსადმი სიმპათიისა ზეგბერსი კითხულობს - "ხომ არ შეიძლება ვინმეს ჰქონდეს ინტერესი, ნატოში ისეთი ქვეყნების შემოყვანისა, რომლებთაც ყოველ კვირა ერთი კონფლიქტი შეუძლიათ ატომური ბომბის მფლობელ ქვეყნებთან წამოიწყონ."

FAZ-ში ყურადსაღებია კიდევ კლაუს-დიტერ ფრანკენბერგერის "ახლა კი დანარჩენი" მულტიპოლარულ მსოფლიოზე. სათაური ეხმაურება ამერიკელი ავტორის ფარიდ ზაქარიას ფორმულას "Rise of the rest /დანარჩენის აღზევება": "15-ე საუკუნეში დაიწყო დასავლეთის აღზევება, 19-ე საუკუნეში პოლიტიკური, ინდუსტრიული და კომერციული აღზევება შეერთებული შტატებისა, და ახლა კი დიდი "დანარჩენის" ჯერია." მულტიპოლარულობის თავისთავად ფასეულობას სტატიის ავტორი ეჭვქვეშ აყენებს. ამ მულტიპოლარულ მსოფლიოში "ევროპულ ფასეულობებს და ინტრესებს უფრო მეტი ცივი ქარი აღუდგება წინ ვიდრე ეს ჩვენ გვესიამოვნება."

კარმენ ელლერი Spiegel online-ის სტატიაში "მოყვასის სიყვარული გვერდითი ეფექტებით" აღწერს რა დაპირისპირებული ქვეყნების სტრატეგიებს და მათ როლების თამაშს ("საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა სწრაფად გადაინაცვლა მსხვერპლის როლში", "მოსკოვი კაცთმოყვარედ გვაჩვენებს თავს"), ასკვნის რომ "მაშინაც კი თუ სტატუს ქვო ანტე-ს დაუბრუნდებიან, რამდენიმე წელში ახალი ბრძოლები იქნება მოსალოდნელი. მშვიდობა მაშინ მართლაც სიმშვიდე იქნებოდა მორიგ ქარიშხლამდე. ომის შემდეგი არის ომის წინა პერიოდი."

"ნამდვილი მშვიდობა ჯერ კიდევ შორსაა" - გვაუწყებს Spiegel online 12 აგვისტოს.

პროპაგანდისტულ ომში ფაქტებით მანიპულირებას კონფლიქტის ორივე მხარეს აბრალებს SZ-ი - "ეს ცნობილი, ხშირად ნახმარი ციტატაა: როცა ომი იწყება, პირველი მსხვერპლი სიმართლეა."" განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა, როგორც ტელევიზიებს, ასევე კიბერომს. 13 აგვისტოს იგივე თემაზე Spiegel onlineს ნაპოლეონის ციტატა მოჰყავს - "სამი მტრულად განწყობილი გაზეთი უფრო საშიშია ვიდრე ათასი ხიშტი" - "ეს წინადადება მსუბუქად სახეცვლილი შეიძლებოდა რუსეთის პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევს, პრემიერ ვლადიმირ პუტინს ან საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს ეკუთვნოდეს."

Spiegel online-თან ინტერვიუში საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი დანიელ-ერაზმუს კანი თვლის, რომ "რუსეთს ჰქონდა უფლება სამხრეთ ოსეთს დახმარებოდა".

SZ-ი წერს - "რუსი დათვი დაბრუნდა" - "ახლა რუსეთის სამხედრო ძალები, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთის საზღვრებს გარეთ ყველაზე დიდი გამოყენების დროს, შეიჭრნენ საქართველოში - და ალბათ იმ ტრადიციონალისტებს, რომლებიც ძველ დომინანტურობასა და




*"ფრანკფურტერ ალგემაინე", 25 აგვისტო - კიდევ რას აპირებს რუსი: ამხანაგებო, ახალი ბრძანება, სანქტ მორიცში მივდივართ. იქაც ბევრი დასაცავი რუსეთის მოქალაქე ცხოვრობს.*

სამხედრო ძალას მისტიროდნენ, ეჩვენებათ, რომ მართლმადიდებლური შობა და ახალი წელი ერთად დაუდგათ."

Spiegel online-ი თბილისში მოწყობილი მიტინგის შესახებ წერს - "ის დამარცხდა, მაგრამ საქართველოს პრეზიდენტი გამარჯვებისკენ მოუწოდებს: ათიათასობით აღტაცებული მომხრის წინაშე თავის ქვეყანას დემაგოგიურ ნაციონალისტურ სიტყვაში ფორპოსტი უწოდა რუსეთთან ბრძოლაში." ("სააკაშვილი თავს აზეიმებინებს")

ხშირია სტატიები მედვედევისა და პუტინის ურთიერთობის შესახებ: "მთავარსარდალმა პუტინმა ჩამოაქვეითა შვილობილი"- Spiegel online, "ომის მბრძანებელი პუტინი"- SZ, რომელშიც ესეცაა ნათქვამი: "თბილისისათვის სიკვდილი? უსიამოვნო კითხვაა, რომელზეც პასუხი წინასწარ არის გაცემული. არც აშშ და არც ევროპელები სამხედრო კონფრონტაციზე რუსეთთან არ წავლენ საქართველოს გადასარჩენად, პატარა ქვეყნისთვის სამხრეთ კავკასიაში, საეჭვო ხარისხის დემოკრატიით და პრეზიდენტით, რომელსაც სუსტი ნერვები აქვს". სამხედრო ჩარევისგან თავის შეკავებას ურჩევს ცნობილი ამერიკელი ექსპერტი კლიფორდ გადიც Spiegel online-თან ინტერვიუში, მიუხედავად იმისა, რომ "რუსეთი უფრო აგრესიული გახდა" (ბაქო-თბილისი-ჯეიხანის ნავთობსადენთან დაკავშირებული საქმეების ამერიკელი შუამავალი რიჰარდ მორნინგსტარი Spiegel online-თან ინტერვიუში)

"ახალი ცივი ომი?" - კითხულობს FAZ.

Spiegel online-ი 13 აგვისტოს წერს, რომ "ევროპამ თავი ვერ გაართვა, როგორც კრიზისის დროს დამხმარემ" - "სრულიად ნორმალურად" მიიჩნევს საფრანგეთის პრეზიდენტი სარკოზი, რომ რუსეთს "თავისი ინტერესების დაცვა სურს". ჯერ კიდევ 12 აგვისტოს FAZ წერდა სტატიაში "ევროპის კავშირს გადაუარეს" - "სამხრეთ კავკასიაში მოსკოვი შეიჭრა ქვეყანაში, რომელსაც ნატო დაპირდა წევრობას. ამ აგრესიის აქტის შელამაზებას რუსეთის-გამგებებიც ვეღარ შეძლებენ. ... ისეთი ქვეყანა როგორიც საქართველოა, რომელიც როგორც გაზისა და ნავთის ტრანზიტული ქვეყანა სტრატეგიული მნიშვნელობისაა დასავლეთისთვის, რუსეთს უნდა დავუთმოთ? ევროპის კავშირს მოუწევს საკუთარ თავს მსგავსი უხერხული კითხვები დაუსვას და კიდევ უფრო უხერხული პასუხები გასცეს, თუ მეტი უნდა იყოს ვიდრე გამოუსადეგარი "შუამავალი", რუსეთის იმპერიის ნაბიჯ-ნაბიჯ აღდგენის დროს."

SZ-ი სტატიაში "სუპერს სახელმწიფოს სირცხვილი"- "ამერიკის და ევროპის პროტესტი მოსკოვში ექოს გარეშე რჩება."

14 აგვისტოს გერჰარდ შპიორლი Spiegel online-ის კომენტარის "რუსეთის ჯანყის" მეთაურში წერს "ომი კავკასიაში ნამდვილი გლობალური კრიზისია. რუსეთის აღშფოთება დასავლეთზე ორიენტირებული საქართველოთი გვიჩვენებს ექსტრემალურ პატივმოყვარეობას და გვახსენებს ცივ ომს. განსაკუთრებით კი ახალი ქაოტური მსოფლიო წესრიგი გამოდის დღის სინათლეზე - რომელშიც შურს იძიებს ბუშის საგარეო პოლიტიკის შეცდომები." აქვე ის კითხვას სვამს "მალე ბევრ ქვეყანას შეეძლება დაუსჯელად აკეთოს, რაც უნდა?" მაგრამ, ვერც "პუტინი ითამაშებს გაუთავებლად მაჩოს როლს".

"საქართველოში ნავთობ და გაზსადენების საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ ექცევა" ვიგებთ FAZ-ის სათაურიდან.

Spiegel online-ი კი ასათაურებს დავით დარჩიაშვილთან ინტერვიუს მისივე ციტატით "ახლა კი რუსეთის გაზს ქართული სისხლის სუნი უდის".

15 აგვისტოს გერმანიის ბუნდესტაგის უცხოეთთან ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ჰანს-ულრიხ კლოზე (სდპ) SZ-თან ინტერვიუში რუსეთის პოლიტიკის ერთ ტენდენციას ასე ახასიათებს: "მისი მეზობლები ან მტრები იყვნენ ან ვასალები. ასეთი ისტორიული ტრადიცია არსებობს, რომელიც რასაკვირველია დღევანდელობას არ შეეფერება."

Spiegel online-თან ინტერვიუში "მოსკოვის სამხედრო ძალების სირცხვილი" გადამდგარი გერმანელი გენერალი კლაუს ნაუმანი დარწმუნებულია, რომ "საქართველომ თავი მახეში გააბმევინა - და რუსეთი ახლა მდგომარეობას თავისი მიზნების შესაბამისად იყენებს."

"ადამიანის უფლებათა დამცველები ორივე მხარეს ადანაშაულებენ" - წერს იგივე Spiegel online-ი, მიუხედავად იმისა, რომ მოყვანილი ფაქტები აბსოლუტური უმრავლესობა რუსეთის დანაშაულის მაგალითებია.

სონია ცეკრის კომენტარის "გამარჯვება როგორც დამარცხების" მეთაური ბევრის მთქმელია: "რუსეთის საგარეო პოლიტიკის სტრატეგია დღემდე ერთი იდეისგან შედგება: ტანკისგან".

"ახლა არანაირი ოპოზიცია აღარ არსებობს" იმეორებს ლევან გაჩეჩილაძის სიტყვებს Spiegel online-ი. ოპოზიციიდან მხოლოდ გიორგი ხაინდრავა აკრიტიკებს ხელისუფლებას, იმოწმებს Spiegel online-ი ხაინდრავას SZ-ისთვის მიცემულ ინტერვიუს. 16 აგვისტოს თვითონ Spiegel online-იც აქვეყნებს ახალ ინტერვიუს გოგა ხაინდრავასთან.

გერმანული მედია კმაყოფილია მერკელის მკაცრი განცხადებებით სოჭში. მანამდე FAZ-ი წერდა, რომ იმედი "რუსული რომანტიკით ადვილად დასაპყრობ გერმანიაში" თითქოსდა "მოსკოვური გაზაფხულისა", რომელიც გაზაფხულზე მედვედევის ვიზიტმა ბერლინში წარმოშვა "შეტევის მსხვერპლი" გახდა - "რუსეთთან თითქმის უკონფლიქტო განსაკუთრებული ურთიერთობების კომფორტული წლები დამთავრდა. ეს არის საგარეო პოლიტიკაში გაერთიანებული გერმანიის ემანსიპაციის ბოლო აქტი."

მერკელის მოულოდნელი სიმკაცრის მიუხედავად ("მერკელისა და მედვედევის ყინულოვანი შეხვედრა" - FAZ; "დასავლეთის ზეწოლა რუსეთზე იზრდება" - SZ) 16 აგვისტოს ლეხ კაჩინსკი სასტიკად აკრიტიკებს საფრანგეთისა და გერმანიის პოზიციას, გადმოგვცემს Spiegel online-ი სააგენტოებზე დაყრდნობით.

SZ-ი წერს რომ, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი შტაინმაიერი ეწინააღმდეგება ყოფილ შეფს - შრიოდერს, რომელმაც შპიგელთან ინტერვიუში რუსეთი დაიცვა. შრიოდერის მიერ სააკაშვილის კრიტიკით გერმანიის სხვა პარტიებიც (CDU/CSU და FDP) აღშფოთებულები არიან - "ვინც გაზპრომისთვის მუშაობს მომავალში უკეთესია თავი უნდა შეიკავოს რუსეთზე საუბრისგან" (ერვინ ჰუბერი, ქრისტიანულსოციალური კავშირის ხელმძღვანელი, Spiegel online-ი 18.08).

საერთოდ, იყო რამდენიმე უაღრესად საინტერესო სტატია გერმანიის პოზიციის შესახებ საქართველოსთან მიმართებაში, შიდა დაპირისპირებასა კანცლერსა და საგარეო საქმეთა მინისტრს შორის, რომელებიც გერმანიის რთული, კომპლექსური სიტუაციის გასაგებად მნიშვნელოვანია და ცალკე გაანალიზებას მოითხოვს. (იხ. მაგ: ვულფ შმიზეს "საშიშად შეურიგებელი", 27.08, FAZ)

ლორენც იეგერი (FAZ) ამერიკული "და ეს საიდუმლო აღარაა" ისრაელის ინტერესების დაცვაში ადანაშაულებს ანდრე გლუკსმანსა და ბერნარ-ანრი ლევის ფრანგულ გაზეთ "ლიბერასიონში" 14 აგვისტოს გამოქვეყნებული მანიფესტისთვის "sOs საქართველო? sOs ევროპა!" ინტერნეტპორტალი Perlentaucher.de, რომელიც სტატიაში ფრანგი ფილოსოფოსების მხარეზე ყოფნა ედება ბრალად, როგორც დონის მქონე ევროპელ ინტელექტუალებს, რომელთა შორის რუსეთის მომხრე არ მოიძებნაძ, 17 აგვისტოს აქვეყნებს ფრანგების გერმანულ თარგმანს.

Spiegel online-ი ჟურნალისტი ყვება ღამის თერთმეტის ნახევარზე როგორ დაიბარეს უცხოელი ჟურნალისტები მიხეილ სააკაშვილთან, რადგანაც მას კანცლერი მერკელის ჩამოსვლამდე კიდევ ერთხელ უნდოდა აეხსნა ზოგიერთი ჟურნალისტისთვის მდგომარეობა. "უცნაური შეხვედრა იყო შეფერთხილ, დაღლილ და ნაწილობრივ არეულ საქართველოს პრეზიდენტთან" წერს მათიას გებაუერი სტატიაში "მიშას თქვენთან სასწრაფოდ უნდა საუბარი".

პრემიერ გურგენიძის მიერ მოთხრობილ მოვლენათა განვითარების ქართულ ხედვას საკმაოდ დეტალურად გვაცნობს ანდრეას როსი FAZ-ში.

"მერკელი თბილისში: საქართველო ნატოს წევრი გახდება - ერთ მშვენიერ დღეს" ასათაურებს FAZ-ი 17 აგვისტოს. "მერკელი საქართველოს ნატოში შესაყვანად იბრძვის" გაკვირვებულია Spiegel online-ი.

"როგორ იგემოვნებენ რუსები ოკუპაციას" გვიყვება "შპიგელის" ჟურნალისტი მათიას გებაუერი გორიდან.

ასევე ჩნდება სტატიები ცხინვალიდან. FAZ-ის კორესპონდენტ მიხაელ ლუდვიგს ცხინვალი "ჩეჩნეთის მოგონებებს" უღვიძებს. Spiegel online-ი "ლეილა ჯიოევას ორმაგ მწუხარება"-ზე აგვიწერს.

18 აგვისტოს FAZ-ის სათაურიდან "მოსკოვი ჯარების გაყვანას იუწყება" ეჭვი გამოსჭვივის. აქვეა სტატია "მერკელი დიპლომატიური მისიით", სადაც გაანალიზებულია მერკელის სოჭში და თბილისში გაკეთებული განცხადებების ზოგიერთი დეტალი, მაგ.: შენიშვნაში "კონფლიქტში უდანაშაულო არავინაა, ეჭვია გამოთქმული ქართული და სააკაშვილის სტატეგიის მიმართ". (მერკელი-სააკაშვილის ურთიერთობის შესახებ 24 აგვისტოს გამოქვეყნებული მარკუს ვენერის სტატია "როგორია ბერლინის დამოკიდებულება რუსებთან?" უაღრესად საყურადღებოა.)

"რუსეთი გასვლის პირობას დებს და დამატებით ძალებს აგზავნის" - აკეთებს კომენტარს Spiegel online-ი.

"კრიზისი ნატოს გახლეჩვით ემუქრება" - წერს SZ-ი.

18 აგვისტოდან ქართულ-რუსული თემა ნელ-ნელა ტოვებს გერმანული პრესის პირველ გვერდებს, მაგრამ ინტერესი ისევ დიდია.

აქ მე შევეცადე, ათი დღის მაგალითზე (8-18 აგვისტო), გერმანულ მედიაში, როგორც დადებითი ისე უარყოფითი შეფასებები (ჩვენი გადასახედიდან) გადმომეცა, ყურადღება გამემახვილებინა უფრო იმ საკითხებზე, რომლებიც ჩვენი მედიის ყურადღების მიღმა დარჩა, საქართველოს გარშემო არსებული კრიზისის შესახებ.

სულ ათი დღით და სამი წყაროთი შემოვიფარგლე, როგორც დასაწყისში ავღნიშნე, მაგრამ ვფიქრობ ეს სამი წყაროც კარგად გადმოსცემს გერმანული მედიის პოზიციას. მიუხედავად იმისა, რომ 18 რიცხვს შემდეგაც და სხვა წყაროებშიც იყო საინტერესო მასალა - მაგ.: იოზეფ იოფეს "მსოფლიო პოლიტიკა `08: წინ წარსულისკენ" Zeit online, 28.08), იოშკა ფიშერის "ევროპის სისუსტე და ევროპის სიძლიერე (იქვე), "საბჭოური მოძრაობითი ომი საქართველოში" (ნიკოლას ბუსსე, 6.09, FAZ), "რომანტიკული ფაზა დასრულდა (ინტერვიუ რუსეთის ექსპერტ ალექსანდრე რართან, 26.08, SZ) და მრავალი სხვ.

ალბათ შეგვიძლია თვითკმაყოფილებმა ვთქვათ: "საქართველო დამარცხდა ველზე, მაგრამ გაიმარჯვა მედიაში" (ნიუ იორკ ტაიმსი).

მაგრამ, ომი გრძელდება.

# მოწვევა საკონკურსო ვაჭრობაზე

საქართველო

**რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი**

კრედიტის ნომერი: N4516 GE

**ქალაქ ონის (რაჭა - ლეჩხუმის რეგიონი) წყალსადენის და კანალიზაციის ქსელების რეკონსტრუქციის ქვეპროექტი**

RMIDP/Oni/CW/NCB/37-2009

წინამდებარე მოწვევა საკონკურსო ვაჭრობაზე მოჰყვება ზოგად სატენდერო განცხადებას მოცემული პროექტისათვის, რომელიც გამოქვეყნდა Development Business-ის N729 ნომერში 2008 წლის 30 ივნისს.

საქართველომ მიიღო კრედიტი საერთაშორისო განვითარების ასოციაციისაგან (IDA) რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის დასაფინანსებლად და განზრახული აქვს ამ კრედიტის სახსრების ნაწილი გამოიყენოს შემდეგი კონტრაქტით გათვალისწინებული გადახდებისთვის: ონის წყალსადენისა და კანალიზაციის ქსელების რეკონსტრუქციისათვის (კონტრაქტის # RMIDP/Oni/CW/NCB/37-2009 ).

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იწვევს უფლებამოსილ და კვალიფიცირებულ კონკურსის მონაწილეებს ონის წყალსადენისა და კანალიზაციის ქსელების სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩასატარებლად.

ქალაქი ონი (რაჭა - ლეჩხუმის რეგიონი) მდებარეობს დასავლეთ საქართველოში. მოსახლების რაოდენობაა 4000.

**სამშენებლო სამუშაოების ძირითადი მოცულობები:**

**წყალსადენი:**

- D=1.0მ ანაკრები რკ/ბეტონის ჭების მოწყობა - 19ცალი.
- D=1.5მ ანაკრები რკ/ბეტონის ჭების მოწყობა - 3ცალი.
- D=2.0მ ანაკრები რკ/ბეტონის ჭების მოწყობა - 3ცალი
- ქალაქის ქსელის რეაბილიტაცია:
- IV კატეგორიის გრუნტებში ტრანშეის გაჭრა მექანიზმებით - 23028 მ3;
- IV კატეგორიის გრუნტებში ტრანშეის გაჭრა ხელით - 3096 მ3;
- ტრანშეის შევსება ყამირით - 14257 მ3;
- ქვიშის ფენის მოწყობა - 5409 მ3;
- ზედმეტი გრუნტის გატანა - 23690 ტ;
- ტრანშეის შევსება ქვიშახრეშით - 4600მ3;
- პლასტმასის მილის მოწყობა PE100 PN10 d=250(63მმ- 15424.0 გრძ.მ;

**კანალიზაცია:**

- D=1.0მ ანაკრები რკ/ბეტონის ჭების მოწყობა - 27ცალი.
- ქალაქის ქსელის რეაბილიტაცია:
- V კატეგორიის გრუნტებში ტრანშეის გაჭრა მექანიზმებით - 1056 მ3;
- IV კატეგორიის გრუნტებში ტრანშეის გაჭრა ხელით - 1224 მ3;
- ტრანშეის შევსება ყამირით - 1303 მ3;
- ქვიშის ფენის მოწყობა - 677 მ3;
- ზედმეტი გრუნტის გატანა - 2448 ტ;
- ტრანშეის შევესება ქვიშახრეშით - 494მ3;
- PVC კანალიზაციის მილების მონტაჟი d=250(110მმ- 1900.0 გრძ.მ;

**2 კმ ჯამური სიგრძის მონაკვეთები ქვედრულას წყალსადენზე:**

- IV კატეგორიის გრუნტებში ტრანშეის გაჭრა მექანიზმებით - 2400 მ3;
- IV კატეგორიის გრუნტებში ტრანშეის გაჭრა ხელით - 260 მ3;
- ტრანშეის შევსება ყამირით - 1680 მ3;
- ზედმეტი გრუნტის გატანა - 1954 ტ;
- რბილი გრუნტის დაყრა მილის ქვეშ - 860 მ3;
- ლითონის მილის მონტაჟი d=273x6მმ- 2000მ.

სამუშაოების ხანგრძლივობაა 6 თვე.

საკონკურსო ვაჭრობა ჩატარდება მსოფლიო ბანკის მიერ 2004 წლის მაისში გამოცემული და 2006 წლის ოქტომბერში კორექტირებული „რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის სესხებითა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტებით განხორციელებული შესყიდვების სახელმძღვანელო დებულებაში" აღწერილი ეროვნული საკონკურსო ვაჭრობის პროცედურების შესაბამისად და მასში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მონაწილეს, სახელმძღვანელო დებულებაში განსაზღვრული უფლებამოსილი ქვეყნებიდან.

დაინტერესებულ უფლებამოსილ კონკურსის მონაწილეებს დამატებითი ინფორმაციის მიღება და საკონკურსო დოკუმენტაციის შემოწმება შეუძლიათ ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 10:00-დან 18:00 საათამდე საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ოფისში ქვემოთ მოცემულ მისამართზე, ელ. მისამართი: procurement@mdf.org.ge; აღმასრულებელი დირექტორი - ბ-ნი ლაშა გოცირიძე.

დაინტერესებულ კონსკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეიძინონ საკონკურსო დოკუმენტაციის სრული კომპლექტი ქართულ ენაზე ქვემოთ მითითებულ მისამართზე წერილობითი განაცხადის წარდგენისა და თითოეული კომპლექტისათვის არაანაზღაურებადი 200 ლარის (ან თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში მისი ექვივალენტის) გადახდის შემდეგ, რასაც დაემატება კურიერის მომსახურების ხარჯები (კურიერის საჭიროების შემთხვევაში). გადახდა ხორციელდება თანხის გადარიცხვით საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის შემდეგ საბანკო ანაგარიშზე:

**მოსარგებლის სახელი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**

**მოსარგებლე ბანკი: რესპუბლიკა ბანკი, ცენტრალური ფილიალი, გრ. აბაშიძის ქ. N2, თბილისი, საქართველო**

**უცხოური ვალუტის ანგარიშის ნომერი: 341 800 01 (აშშ დოლარი)**

**ადგილობრივი ვალუტის ანგარიშის ნომერი: 340 800 01 (ქართული ლარი)**

**SWIFT Code: REPLGE22 C/A No.: 04-414-550 with Deutsche Bank Trust Company Americas, NY**

**SWIFT Code: BKTRUS33, ABA#021001033, CHIPS UID: 379104**

საკვალიფიკაციო მოთხოვნები მოიცავს შემდეგს:

კონტრაქტის მისაღებად კონკურსის მონაწილემ უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი კრიტერიუმები და წარმოადგინოს ქვემოთ მოცემული მინიმალური მოთხოვნების დამადასტურებელი დოკუმენტები:

1. კონკურსანტის საშუალო წლიური ბრუნვა ბოლო სამი წლის განმავლობაში უნდა იყოს არანაკლებ 4,6 მილიონი ლარის ექვივალენტი;
2. კონტრაქტის განხორციელებისათვის საჭირო ლიკვიდური აქტივების ან საბრუნავი კაპიტალის მინიმალური ოდენობა, უნდა იყოს 1,0 მილიონი ლარი.

საკონკურსო წინადადები ქვემოთ მოცემულ მისამართზე წარმოდგენილი უნდა იყოს არაუგვიანეს 2009 წლის 7 სექტემბრის 12:00 საათისა. დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება.

საკონკურსო წინადადებას თან უნდა ახლდეს 46 000 (ორმოცდაექვსი ათასი) ლარის ოდენობის ან კონვერტირებად ვალუტაში მისი ექვივალენტის ოდენობის საკონკურსო წინადადების გარანტია.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმ კონკურსის მონაწილეთა წარმომადგენლებისა და ყველა იმ პირის თანდასწრებით, რომლებიც მოისურვებენ პირად დასწრებას ქვემოთ მოცემულ მისამართზე 2009 წლის 7 სექტემბერს 12:00 საათზე.

**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**

**ბ-ნი ლაშა გოცირიძე, აღმასრულებელი დირექტორი**

მისამართი: ოთახი 405, მეოთხე სართული, დ. აღმაშენებლის გამზირი 150, თბილისი 0112, საქართველო,

ტელ: +995-32-48-45-09/10/11/15

ელ. ფოსტა: procurement@mdf.org.ge

# განცხადება
# ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგეობა, (მისამართი: ქ. თბილისი 0105, გ. ლეონიძის ქ. N2) აცხადებს ტენდერს ქ. თბილისში, ერეკლე II-ის სახელობის მოედნის რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.
2. შესყიდვის ობიექტია ქ. თბილისში, ერეკლე II-ის სახელობის მოედნის რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობის სამუშაოები. შესასრულებელი სამუშაოების დეტალური ჩამონათვალი მოცემულია ტექნიკურ დავალებაში, რომელიც ტენდერში მონაწილეებს გადაეცემათ სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად.
3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების საბოლოო ვადაა 2009 წლის 30 ნოემბერი (ჩათვლით).
4. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებელის გადახდის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენისთანავე 2009 წლის 31 აგვისტოს 18 საათამდე, შემდეგ მისამართზე: 0105, ქ. თბილისი გ. ლეონიძის ქ. N2, მე-3 სართული, ოთახი N5. სატენდერო დოკუმენტაცია შესრულებული იქნება ქართულ ენაზე.
5. სატენდერო მოსაკრებელის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს, გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ძველი თბილისი), ს/კ 206160606, ანგარიში N200122900, სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი - 300773174. გადახდის დანიშნულება - ქ. თბილისში, ერეკლე II-ის სახელობის მოედნის რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობის სამუშაოები. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შეუძლია გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.
6. პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი განაცხადი ტენდერში მონაწილეობის შესახებ და საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, ერთ დახურულ კონვერტში უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 1 სექტემბრის 10-დან 14 საათამდე შემდეგ მისამართზე: 0105, ქ. თბილისი, გ. ლეონიძის ქ. N2, მე-3 სართული, ოთახი N5. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება, ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.
7. ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.
8. ტენდერში მონაწილის (სუბკონტრაქტორების არსებობის შემთხვევაში, ასევე - მათი) საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

8.1 იურიდიული პირისათვის:

ა) ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ მიმდინარეობს იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

8.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი

ქმედუნარიანია;

b) საგადასახადო ინსპექციაში რეგისტრაციის დამადასტურებელ საბუთს;

g) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ნოტარიალურად დამოწმებულ ასლს.

8.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:

a) ინფორმაციას მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;

b) ინფორმაციას ბოლო 3 წლის განმავლობაში ანალოგიურ სამუშაოთა შესრულების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

გ) ცნობას სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს პრეტენდენტის გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

d) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან, რომ პრეტენდენტს არ გააჩნია დავალიანება ბიუჯეტის მიმართ;

e) ცნობას მომსახურე ბანკიდან საბანკო ანგარიშზე ყადაღის (ინკასოს) არარსებობის შესახებ;

ვ) ცნობას საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული

სააგენტოდან, რომ პრეტენდენტის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

ზ) ცნობას სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან, რომ პრეტენდენტი არ არის შეყვანილი არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში;

თ) ცნობას მომსახურე ბანკიდან რომ პრეტენდენტს საბანკო ანგარიშზე აქვს თანხა სატენდერო წინადადების 10 პროცენტის ოდენობით, ან გახსნილი აქვს ამავე ოდენობის საკრედიტო ხაზი.

9. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ დედნის სახით ან მათი ნოტარიალურად დამოწმებული ასლები. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომელსაც თან უნდა დაერთოს თარგმანი ქართულ ენაზე, ნოტარიალურად დამოწმებული სახით. კვალიფიკაციის გასავლელად განმცხადებელმა უნდა დააკმაყოფილოს ყველა ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნა. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-8 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება. ამ შემთხვევაში, მისი დისკვალიფიკაცია შესაძლებელია ტენდერის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.
10. შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება წინამდებარე განცხადების მერვე მუხლით მოთხოვნილი ცნობები და ინფორმაცია, გარდა მერვე მუხლის 8.3. პუნქტის "ა", "ბ" და "დ" ქვეპუნქტების მოთხოვნებისა. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს ამ განცხადების გამოქვეყნების შემდგომ პერიოდში.
11. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადებისა (ღირებულების 1%-ის ოდენობით) და ხელშეკრულების შესრულების (ღირებულების 2%-ის ოდენობით) უზრუნველყოფის საბანკო გარანტირების მექანიზმი.
12. დამატებითი ინფორმაციისათვის დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგეობის მთავარ სპეციალისტს, სატენდერო კომისიის აპარატის წევრს - დავით კასრაძეს ზემოთაღნიშნულ მისამართზე.

ტელ: 92-04-09; 93-11-90; 92-04-10; 93-11-40.

ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის
გამგეობის სატენდერო კომისია

# განცხადება

**შპს "ტრამვაი-ტროლეიბუსების საწარმო"** (მისამართი: თბილისი, აბასთუმნის ქ. N8ა, მე-5 სართული) ქალაქ თბილისის საკრებულოს 2007 წლის 6 სექტემბრის N10-54 გადწყვეტილების "დედაქალაქის, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვისა და გადაცემის დებულების დამტკიცების შესახებ" და ქალაქ თბილისის მთავრობის მიმდინარე წლის 31 ივლისის N21.21.716 დადგენილების საფუძველზე

**აცხადებს აუქციონს**

შპს „ტრამვაი-ტროლეიბუსების საწარმო"-ს ბალანსზე რიცხული, ქ. თბილისის მთავრობის 2009 წლის N დადგენილების საფუძველზე ჩამოწერილი ტრამვაისა და ტროლეიბუსის საკონტაქტო ხაზების დემონტაჟის შედეგად მიღებული ფოლადის მეორადი მილების აუქციონის ფორმით რეალიზების თაობაზე.

**სარეალიზებო ქონების სავარაუდო ოდენობა:** სარეალიზებო ქონება დაყოფილია ორ ლოტად და აუქციონი ჩატარდება თითოეულ ლოტზე ცალ-ცალკე. დასაშვებია აუქციონში მონაწილეობა და განაცხადის წარმოდეგენა, როგორც ერთ, ასევე მეორე ლოტზე.

**ლოტი 1 - ფოლადის მეორადი მილი 219 მმ-იანი 150 მეტრი**

**საწყისი ფასი -** 2250 ლარი

**ბეს ოდენობა** - 40% (900 ლარი)

**"ბიჯი"** - 100 ლარი

**მონაწილის ბილეთის ღირებულება** - 50 ლარი

**ლოტი 2 - ფოლადის მეორადი მილი 245 მმ-იანი 630 მეტრი**

**საწყისი ფასი -** 12600 ლარი

**ბეს ოდენობა** - 40% (5040 ლარი)

**"ბიჯი"** - 300 ლარი

**მონაწილის ბილეთის ღირებულება** - 50 ლარი

გადახდილი "ბე"-ს თანხა ჩაითვლება საბოლოო ანგარიშსწორების ანგარიშში.

**აუქციონში მონაწილის ბილეთის** ღირებულებაა 50 ლარი თითოეული ლოტისათვის. აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულებას აუქციონში მონაწილეობის მსურველი იხდის შპს "ტრამვაი-ტროლეიბუსების საწარმო"-ს საბანკო ანგარიშზე. აუქციონში მონაწილეობის მსურველი განაცხადთან და "ბე"-ს გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად საწარმოს (რეგისტრატორს) წარმოუდგენს აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულების გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს, რის შემდეგაც ტარდება რეგიტრაციაში და იღებს აუქციონში მონაწილის ბილეთს. აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულება არ შედის სარეალიზებო ქონების ღირებულებაში და გამოქვითვას არ ექვემდებარება.

აუქიონზე შეძენილი ფოლადის მეორადი მილების დემონტაჟის (დაახლოებით 70%), დაჭრის, დატვირთვისა და გატანის ხარჯებს გაიღებს აუქციონში გამარჯვებული. აუქციონში გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას საჭირო სანოტარო ხარჯები ასევე უნდა უზრუნველყოს აუქციონში გამარჯვებულმა.

**თანხის ("ბე"-ს, აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასურის, ქონების საფასურის) გადახდის საბანკო რეკვიზიტები:**

სს "საქართველოს ბანკი"-ს ცენტრალური ფილიალი

ბანკის კოდი: N220101502

ანგარიშსწორების ანგარიში: N200467165

საიდენტიფიკაციო კოდი: N202168359

შპს "ტრამვაი-ტროლეიბუსების საწარმო"

**აუქციონში მონაწილეობის მსურველებმა უნდაწარმოადგინონ:**

- დამტკიცებული ფორმის მიხედვითშევსებული განაცხადი;
- „ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ფიზიკური პირის შემთხვევაში: პირადობის მოწმობა(პრეტენდენტი სხვა დოკუმენტაციასთან ერთად წარმოადგენს პირადობის მოწმობის დედანს, რომლის ასლიც რჩება რეგისტრატორთან);
- იურიდიული პირისათვის: განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან და სადამფუძნებლო დოკუმენტაცია: პარტნიორთა (აქციონერთა ან სხვა) კრების ოქმი და წესდება (ან სადამფუძნებლო დოკუმენტაციის სანოტარო წესით დამოწმებული ასლები);
- სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა, თუ აუქციონში მონაწილეობს სხვა პირის სახელით.

**განაცხადები მიიღება:** 2009 წლის 8 სექტემბრის 12 საათამდე.

**აუქციონი გაიმართება:** 2009 წლის 8 სექტემბეს 1430 საათზე.

**აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია**

აუქციონის ჩატარებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში დაფაროს შეძენილი ქონების საბოლოო ღირებულება, გააფორმოს შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულება და მიღება-ჩაბარების აქტი.

აუქციონში დამარცხებულს გადახდილი „ბე" დაუბრუნდება აუქციონის შედეგების ოქმის დამტკიცებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში, მოთხოვნის საფუძველზე.

განაცხადების წარმოდგენა და დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შემდეგ მისამართზე: თბილისი. აბასთუმნის ქ. N8ა მე-5 სართული. ტელ.: 20 43 00; მობ.: 899 19 47 47

## ქართველმა კალათბურთელებმა ოფიციალურის წინ მეორედ იყოჩაღეს

საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებმა ოფიციალური მატჩების წინ ბოლო ამხანაგური შეხვედრა ჩაატარა და იქამდე გამართული მატჩის მსგავსად, რომელშიც საქართველოს უმთავრესმა გუნდმა ავსტრია 77:73 დაამარცხა, ამჯერადაც იყოჩაღა და უწინდელის მსგავსად კვლავაც ოთხი ქულის სხვაობით 75:71 იმარჯვა. საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ვებგვერდის ინფორმაციით, ქართველებს წარმატებისთვის დამატებითი სტიმული გერმანიიდან ჩასულმა 80-მდე ქომაგმა მისცა. აღსანიშნავია, რომ გულშემატკივართა ეს ჯგუფი, სპორტის ყველა სახეობაში, ქართველთა გასვლით თამაშებს ტრადიციულად ესწრება.

აი, შეხვედრა კი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა. პირველი ტაიმი 40:40 დასრულდა. მართალია, მესამე პერიოდში კოკოშკოვის შეგირდებმა 9-ქულიანი უპირატესობა მოიპოვეს, მაგრამ ავსტრიელები მალევე წამოეწივნენ მეტოქეს და შეხვედრის ბედის გარკვევა ბოლო წუთებს მიანდეს. გადამწყვეტ მომენტში, ტარტუს "როკის" ყოფილი პარტნიორების (მათ ჯერჯერობით ახალი კონტრაქტები არ გაუფორმებიათ) - გიორგი ცინცაძისა და ვიქტორ სანიკიძის კომბინაცია ამ უკანასკნელმა ეფექტური გდებით დაასრულა და სტუმრები ოთხი ქულით დაგვაწინაურა. შეხვედრის დასრულებამდე დარჩენილ წამებში ავსტრიელებმა ვეღარაფრის შეცვლა ვერ მოახერხეს და კვლავ დამარცხდნენ. მატჩის სნაიპერი კი "პანათინაიკოსის" ახალგაზრდა ცენტრი გიორგი შერმადინი გახდა, რომელმაც 18 ქულას

მოუყარა თავი. აღსანიშნავია, რომ სათადარიგოთა სკამიდან შეხვედრას თვალს ზაზა ფაჩულია ადევნებდა, რომელიც შტაინბურნში ახალი ჩასული იყო და მწვრთნელმა მისი დასვენება გადაწყვიტა. ტრავმის გამო არ უთამაშია მანუჩარ მარკოიშვილს, ხოლო ნიკოლოზ ცქიტიშვილი გუნდს თბილისში შეუერთდება.

**ავსტრია - საქართველო 71:75**
**18:22, 22:18, 17:18, 14:17**

საქართველო: გამყრელიძე (11 წთ), ვ. ბოისა (31 წთ, 12 ქ, 6 მ), ცინცაძე (29 წთ, 6 ქ, 8 პ, 3 ჩ), შერმადინი (34 წთ, 18 ქ, 7 მ), ტუღუში (10 წთ, 3 ქ), სანიკიძე (31 წთ, 11 ქ, 6 მ), მეტრეველი (8 წთ, 2 ქ), ელისი (32 წთ, 17 ქ), ა. ბოისა (7 წთ, 4 ქ), შენგელია (6 წთ, 2 ქ).

## ყენიამ ბუნდესლიგა საგოლე პასით დაიწყო

ბუნდესლიგის პირველივე ტურში "შალკეს" ქართველმა ლეგიონერმა ლევან ყენიამ პირველი საგოლე გადაცემა ჩაიწერა აქტივში და თანაკლუბელებს სამი ქულის მოპოვებაში მნიშვნელოვნად დაეხმარა. ქართველთა "შალკე" ბუნდესლიგის 2009/10 წლების სეზონის პირველ შეხვედრაში "ნიურნბერგს" სტუმრობდა და კევინ კურანის დუბლის წყალობით მასპინძლები 2:1 დაამარცხა. ქართველთაგან ძირითად შემადგენლობაში კობიაშვილი იმყოფებოდა, მაგრამ მეორე ტაიმში მწვრთნელმა მისი დახმარებისგან თავი შეიკავა. მიუხედავად ამისა შეხვედრა ქართველის გარეშე არ გაგრძელებულა - მეორე ტაიმის დასაწყისშივე მოედანზე ლევან ყენია გამოჩნდა. მისი გამოჩენიდან ხუთ წუთში კურანიმ მეორე გოლიც გაიტანა. უფრო სწორად, ქართველმა ფეხბურთელმა მარცხენა ფლანგზე ბურთი ჰიოვედესისგან მიიღო, თხუთმეტიოდე მეტრი გაირბინა და კარგი გადაცემით, საჯარიმოს ხაზთან ახლოს მდგომი კურანი მონახა და გერმანელ თავდამსხმელს ახალი სეზონის პირველი ბუნდესლიგური გოლი გაატანინა. საგოლე პასის გარდა ყენიამ კიდევ 12 გადაცემა გააკეთა, რომელთაგან 5 ზუსტი გამოდგა. სამი ორთაბრძოლიდან ქართველმა ერთი მოიგო, ხოლო კარში სამჯერ დაარტყა და სამივეჯერ არაზუსტად. რაც შეეხება კობიაშვილს, ნახევარდაცვაში მოთამაშე ქართველმა 11 მცდელობიდან 8 ზუსტი გადაცემა გააკეთა და რვა ორთაბრძოლიდან ორი მოიგო.

# გაგრასთან აფეთქებული ჩემპიონი

მიხეილ აბაიშვილი

ვიხსენებ, მაგრამ უშედეგოდ: ასეთი მყვირალა სენსაციური შედეგი საქართველოს ეროვნული ჩემპიონატების არსებობის 20-წლიან ისტორიაში ჯერ არ დაფიქსირებულა. "გაგრამ", რომელიც მხოლოდ მისთვის ხელსაყრელი ტექნიკური მიზეზების წყალობით დარჩა უმაღლეს ლიგაში, 21-ე ეროვნული ჩემპიონატის სადებიუტო მატჩში ქვეყნის ჩემპიონი გამანადგურებელი ანგარიშით - 4:0 დაამარცხა. არადა, ახალციხის "მესხეთს" ლიცენზირების საკითხში რომ პრობლემები არ შექმნოდა, ეს გუნდი უმაღლეს ლიგაში დარჩებოდა, ხოლო "გაგრა" პირველ ლიგაში იასპარეზებდა.

სხვათა შორის, "გაგრამ", რომელიც უმაღლეს ლიგაში მხოლოდ მეორე სეზონია ასპარეზობს, სადებიუტო სეზონის სასტარტო მატჩში ასევე ჩემპიონი, თბილისის "დინამო" დაამარცხა ანგარიშით 2:1. მაგრამ იმ შეხვედრასა და გუშინდელ თამაშს შორის ისეთ სხვაობაა, როგორც ცა და დედამიწა. იმ თამაშში "დინამო" სრულ ტერიტორიულ და სათამაშო უპირატესობას ფლობდა, მომენტებსაც უხვად ქმნიდა დებიუტანტის კართან, მაგრამ ფატალური უიღბლობის წყალობით მათ რეალიზაციას ვერ ახერხებდა. საპირისპიროდ, ."გაგრამ" მთელი 90 წუთის განმავლობაში 3-4 კონტრიერიში განახორციელა, რომელთაგან ორი გოლით დასრულა და პირველი საუმაღლესლიგო სეზონი აჟურულ ნოტაზე დაიწყო. სხვათა შორის, დინამოს მიერ სტარტზე დაკარგულმა ამ სამმა ქულამ უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა გასული სეზონის გამარჯვებულის გამოვლენაში.

თუ ერთი წლის წინ ჩემპიონთან მოპოვებული გამარჯვება ფორტუნას უკიდურესი კეთილგანწყობის შედეგად შეიძლება ჩაითვალოს, ორი დღის წინ გლდანში, "ამერის" სტადიონზე (ეს არენა აქვს შერჩეული "გაგრას" საშინაო თამაშების მასპინძლობისთვის) "ვიტ ჯორჯიას" განადგურების საქმეში იღბალს არანაირი მონაწილეობა არ მიუღია. თუ არ ჩავთვლით საწყის 5-7 წუთს და სეზონის გახსნითი თამაშით გამოწვეულ სასტარტო მღელვარებას (პირველი ტურის მატჩი "გაგრასა" და "დინამოს" შორის პროფესიული ფეხბურთის ლიგის გადაწყვეტილებით გადაიდო), მთელი მატჩის განმავლობაში სრულ ტერიტორიულ, გნებავთ სათამაშო უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ. ეს მით უფრო გასაკვირია, რომ "ვიტ ჯორჯიამ" პრაქტიკულად უძლიერესი შემადგენლობით იასპარეზა.


ანდერსონმა საქართველოს ჩემპიონატში მეორე გოლით გამოიჩინა თავი

ცალკე საუბრის თემაა გაგრელთა ახალგაზრდა თავდამსხმელი, ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის, ექტორ რაულ კუპერის თვალთახედვის არეში მყოფი გიორგი გაბედავა, რომლისთვისაც "ვიტ ჯორჯიასთან" მატჩი ნამდვილ ბენეფისად იქცა. სწორედ ამ ნიჭიერი და პერსპექტიული ფორვარდის შეჩერება ვერ შეძლო "ვიტ ჯორჯიას" დაცვის ხაზმა, რომლის რიგებშიც ეროვნული ნაკრების წევრი, ცენტრალური მცველი, ლექსო კვახაძეცაა. ოთხივე გოლი ჩემპიონის კარში სწორედ გაბედავამ გაიტანა, ორჯერ კი შედეგიანი დარტყმა ამ ფეხბურთელმა სწორედ იმ ზონიდან განახორციელა, რომელზეც პასუხს უშუალოდ კვახაძე აგებს.. პირველივე ტაიმში ანგარიში უკვე 3:0 იყო "გაგრას" სასარგებლოდ. მიუხედავად იმისა, რომ ჩემპიონს შესვენებაზე გონს მოსასვლელად მთელი 15 წუთი ჰქონდა, ამის გაკეთება ვერ შეძლო. მატჩის სცენარი არც შეხვედრის მეორე ნახევარში შეცვლილა და 87-ე წუთზე გოლი, რომელითაც გაბედავამ პავლიაშვილის გადაცემის შემდეგ "ვიტ ჯორჯიას" კარის აოხრება დაასრულა, ამის ნათელი დადასტურებაა. წინა სამიდან ორ შემთხვევაში გაბედავას ასისტირება შარიქაძემ გაუწია, ერთხელ კი ამ თავდამსხმელმა საკუთარი შორეული დარტყმის და ბედფიაშვილის მოგერიების შემდეგ გამოვარდნილ ბურთს ისევ თავად მიუსწრო და კარში გადაგზავნა.

ამ მარცხის მიუხედავად, ერთმნიშვნელოვნად იმის მტკიცება, რომ "ვიტ ჯორჯია" წელს უმაღლესი მიზნისთვის ვერ იბრძოლებს, ძალზე ნაადრევია. ნათელი მხოლოდ ის გახდა, რომ ვეტერინართა გუნდმა სათანადოდ განწყობა ვერ მოახერხა მეტოქესთან, რომელსაც გასულ სეზონში სამ თამაშში შვიდი ქულა აართვა (ორჯერ მოუგო და ერთხელ დაუზავდა).

კიდევ ერთი აუტსაიდერის, ცხინვალის "სპარტაკის" გალიდერება, პირველ ტურში ბოლნისში მოპოვებული ხმაურიანი გამარჯვების შემდეგ, სენსაციად აღარ ითვლება. შეგახსენებთ, რომ ცხინვალელებმა სადებიუტო ტურში "სიონი" მისსავე მოედანზე ანგარიშით 4:1 დაამარცხეს და ამ შედეგის შემდეგ მეორე ტურში "სპარტაკი"- "ბაიას" მატჩში ფავორიტად, რაღა თქმა უნდა, მასპინძლები ითვლებოდნენ. შეხვედრაში ერთადერთი გოლი ექსდინამოელმა დავით ოდიკაძემ ბაჩანა ცხადაძის ასისტირებით 61-ე წუთზე გაიტანა.

ბრაზილიური ხუთკაციანი ლეგიონით გაძლიერებული რუსთავის "ოლიმპი" არა მხოლოდ "ლოკომოტივთან" დაპირისპირებაში, არამედ მთელს ეროვნულ ჩემპიონატშიც ერთ-ერთ ფავორიტად მიიჩნევა. თუმცა, ასეთი სტატუსის მიუხედავად, "ლოკომოტივის" დამარცხება ძალზე გაუჭირდა. ანგარიში სულაც მასპინძლებმა გახსნეს: მეოთხე წუთზე კუთხურიდან ჩამოწოდებულ ბურთს მაღალ ნახტომში ლოკომოტივის მცველი, ბუშარაშვილი შეწვდა და თავით ჭანტურიას კარში გადაგზავნა. სტუმრებმა ანგარიშის გათანაბრება ბრაზილიელი ანდერსონის მიერ 30-ე წუთზე სანაქებოდ შესრულებული საჯარიმო დარტყმის შედეგად შეძლეს. აქამდეც და ამის შემდეგაც "ოლიმპი" სრულ უპირატესობას ფლობდა, უამრავ მომენტს ქმნიდა მასპინძლების კართან, მაგრამ რეალიზაციას ვერ ახერხებდა. შეხვედრის მეორე ნახევარში "ლოკომოტივს" ორი ფეხბურთელი გაუძევეს მოედანიდან, მათ შორის, პირველი გოლის ავტორი ბუშარაშვილი, თუმცა, ამის მიუხედავადაც, მასპინძლებს სულ მცირე დააკლდათ მეორე სენსაციის მოხდენამდე (პირველ ტურში "ლოკომოტივმა" სტუმრად "ზესტაფონთან" შეძლო სენსაციური ქულის აღება). მხოლოდ მსაჯის მიერ კომპენსირებული ხუთწუთეულის მეოთხე წუთზე შეძლო კიდევ ერთმა ბრაზილიელმა, ჯერონიმომ გამარჯვების გოლის გატანა.

პირველი სამი ქულა ჩაიწერა "ზესტაფონმაც" რომელსაც დებიუტანტ "სამტრედიასთან" იმერულ "დერბიში" არანაირი პრობლემა არ შექმნია. გეგუჩაძის გუნდმა ორი უპასუხო გოლი გაიტანა (ხიდაშელი, დვალი).

**მე-2 ტური**

გაგრა 4:0 ვიტ ჯორჯია
ლოკომოტივი 1:2 ოლიმპი
სპარტაკი 1:0 ბაია
სამტრედია 0:2 ზესტაფონი

წინა ტურის მსგავსად, თბილისის "დინამომ" ამ ტურშიც "დაისვენა". ეს გუნდი ევროპის ლიგის საკვალიფიკაციო ტურნირში მონაწილეობდა და ამის გამო პროფესიული ფეხბურთის ლიგის ხელმძღვანელობამ პირველი ორი ტურის მატჩები გადაუტანა. თბილისის "დინამო" მესამე ტურიდან ჩაებმება ტურნირში, ხოლო გამოტოვებული შეხვედრების ჩატარების ახალი თარიღები უახლოეს დღეებში დადგინდება.

GEONET myhost
შენი ადგილი ინტერნეტში
www.myhost.ge
3 თვე უფასო ჰოსტინგი
470000
info@myhost.ge
აქცია

## კომპანია "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის" (ყოფილი "თბილისის წყალი") განცხადება წყალმომარაგებისა და/ან წყალარინების ქსელში ახალი აბონენტების ჩართვის რეგლამენტის დაცვის აუცილებლობის შესახებ

კომპანია "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა", წყალმომარაგებისა და წყალარინების ქსელებში ახალი ობიექტების ჩართვის უზრუნველყოფის მიზნით, "თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონისა და სემეკის 2008 წლის N32 დადგენილების საფუძველზე, შეიმუშავა და დაამტკიცა წყალმომარაგების და\ან წყალარინების ქსელში ჩართვის რეგლამენტი.

კომპანია "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი" აცნობებს ყველა დაინტერესებულ პირს, რომ აღნიშნული "რეგლამენტის" დაცვა სავალდებულოა ნებისმიერი ახალი ობიექტის კომპანიის ქსელებში ჩართვის შემთხვევაში.

დაინტერესებულ პირებს, დეტალური ინფორმაციის მისაღებად შეუძლიათ მიმართონ კომპანია "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის" რეალიზაციის დეპარტამენტს:

**ტელ.: 487-113;**
**E-maili: bmgaloblishvili@georgianwater.com; alomidze@georgianwater.com**

## განცხადება

კომპანია „აზერინშაატსერვის"-ის წარმომადგენლობას საქართველოში დაგეგმილი აქვს მოდულის ტიპის ასფალტის ქარხნის მშენებლობა, რომელიც განთავსდება მარნეულის რაიონში ჯანდარის დასახლების ტერიტორიაზე.

2009 წლის 2 ოქტომბერს 13 საათზე, მარნეულის რაიონში, აზერინშაატსერვისის კემპის ტერიტორიაზე (თბილისი-მარნეული გზის მიმდებარედ, ჯანდარის დასახლების ტერიტორია) ჩატარდება აღნიშნული ქარხნის მშენებლობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების საჯარო განხილვა.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის გაცნობა შესაძლებელია:

- აზერინშაატსერვისის კემპში - ჯანდარის დასახლების ტერიტორია
- აზერინშაატსერვისის თბილისის ოფისში - მის: ქ.თბილისი, ფალიაშვილის 33ა;

საზოგადოების წარმომადგენლებისაგან მოსაზრებების მიღება იწარმოებს აღნიშნულ მისამართებზე; საკონტაქტო ტელეფონი: 822 252139; ელ.ფოსტა. t.pruidze@azerinsaat.com.

**„აზერინშაატსერვის"-ის ადმინისტრაცია.**

საქართველოს მთავრობასა და განვითარების საერთაშორისო ასოციაციას შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე, საქართველოს მთავრობამ განვითარების საერთაშორისო ასოციაციისგან (IDA) მიიღო გრანტი და აპირებს გრანტის ნაწილით დააფინანსოს ახალციხე, გორი, მარნეული, გურჯაანის ახალგაზრდული ოფისების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი იწვევს დაინტერესებულ სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად. საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ 2009 წლის 7 აგვისტოდან ყოველ დღე (შაბათ-კვირის გარდა) 10-დან 18 საათამდე ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის ოფისში საკონტაქტო პირი: ქეთი ესაძე.

საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 100 (ასი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან **60 დღის** განმავლობაში.

კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ კონკურსანტებს შეუძლიათ მიიღონ ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის ოფისში. წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს **2009 წლის 8 სექტემბერს 12:00 - მდე,** ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის ოფისში.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის ოფისში. საკონკურსო წინადადების წარმოდგენის ვადის დასრულების დღეს, **2009 წლის 8 სექტემბერს 12:00 საათზე** დაინტერესებული პირების თანდასწრებით. დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეობის მსურველებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის მისამართია:

**ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი**
**ქ თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, 76ბ, 0186,**
**ტელ: (995 32) 302253; 301775**
**ფაქსი: (995 32) 302253**
**შეკითხვების შემთხვევაში დაუკავშირდით შესყიდვების ოფიცერს გიორგი ბაჯელიძეს**
**ტელ: (995 32) 302253; 301775**
**მობ: 8 77 535 888**

ცვლილება „უნი ფორმისა და აქესურები"-ს შესყიდვის მიზნით გამოქვეყნებულ განცხადებაში
(გაზეთი 24 საათი 2009 წლის 5 აგვისტო №173)

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი აცხადებს 15 ლოტად დაყოფილ საერთაშორისო ტენდერს უნი ფორმისა და აქესურების შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: სახელმწიფო ხაზინა, კოდი: 220101222, სახაზინო კოდი: 302003174, ანგარიშსწორების ანგარიში №200122900, მიუთითონ საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სატენდერო მოსაკრებელი, კონკრეტული შესყიდვის დასახელებით და წარმოადგინონ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, შემდეგ მისამართზე, ქ. თბილისი დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., ოთახი 311 (შესყიდვების ორგანიზების ქ/განყოფილება), რის შემდგომაც გადაეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია. დაინტერესებულ პირებს სატენდერო დუკუმენტაციის გატანა შეუძლიათ განცხადების გამოქვეყნების დღიდან 10:00 – 18:00 საათამდე ყოველ დღე 2009 წლის 24 აგვისტოს ჩათვლით, უქმი დღეების გარდა.
2. მისაწოდებელი საქონლის ჩამონათვალი:

| ლოტი № | შესყიდვის ობიექტი | განზ-ების ერთეული | რაოდენობა ან მოცულობა | მიწოდების გრაფიკული ვადები |
|---|---|---|---|---|
| 1 | ქამარი | ცალი | 4500 | 2009 წლის 30 ოქტომბრამდე |
| 2 | წოდების აღმნიშვნელი სამკლავე ნიშანი | ცალი | 10000 | 2009 წლის 30 ოქტომბრამდე |
| 3 | სამკერდე ნიშანი | ცალი | 3500 | 2009 წლის 30 ოქტომბრამდე |
| 4 | იარაღის ჩასადები შალითა | ცალი | 3500 | 2009 წლის 30 ოქტომბრამდე |
| 5 | მჭიდის ჩასადები შალითა | ცალი | 3500 | 2009 წლის 30 ოქტომბრამდე |
| 6 | ხებორკილი | ცალი | 3500 | 2009 წლის 30 ოქტომბრამდე |
| 7 | პერანგი გრძელი მკლავით ლურჯი | ცალი | 15000 | 2009 წლის 30 სექტემბრამდე |
| 8 | შარვალი ზამთრის | ცალი | 4500 | 2009 წლის 30 სექტემბრამდე |
| 9 | შარვალი დათბუნული | ცალი | 2000 | 2009 წლის 30 ოქტომბრამდე |
| 10 | ქურთუკი თბილი | ცალი | 2000 | 2009 წლის 30 ოქტომბრამდე |
| 11 | ქურთუკი თბილი გრძელი | ცალი | 2000 | 2009 წლის 30 ოქტომბრამდე |
| 12 | პულოვერი | ცალი | 3500 | 2009 წლის 30 ოქტომბრამდე |
| 13 | ქამარი აღჭურვილობის | ცალი | 1000 | 2009 წლის 30 ოქტომბრამდე |
| 14 | ფეხსაცმელი მაღალყელიანი | წყ. | 2100 | 2009 წლის 30 ოქტომბრამდე |
| 15 | ქურთუკი საშემოდგომო | ცალი | 4500 | 2009 წლის 30 სექტემბრამდე |

3. მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი 38-ე კმ..
4. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად ერთი დალუქული კონვერტით (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 2009 წლის 25 აგვისტოს 15:00 საათამდე, მისამართზე: ქ. თბილისი კახეთის გზატკეცილი 38-ე კმ. შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი. საკვალიფიკაციო მონაცემის კონვერტების გახსნა განხორციედდება 2009 წლის 25 აგვისტოს 15:00 საათზე.
5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

• **იურიდიული პირებისთვის:**
ა) ცნობა საჯარო რეესტრიდან, ქონებაზე ყადაღის არ არსებობის შესახებ; (მოქმედების ვადა არა უმეტეს 5 სამუშაო დღისა)
ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (მოქმედების ვადა არა უმეტეს 5 სამუშაო დღისა)
გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არ არსებობის შესახებ. (მოქმედების ვადა არა უმეტეს 10 სამუშაო დღისა)
დ) ცნობა სასამართლოდან, მასზედ რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.
(მოქმედების ვადა არაუმეტეს 10 სამუშაო დღისა)

• **ფიზიკური პირებისთვის:**
ა) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება. (მოქმედების ვადა არაუმეტეს 10 სამუშაო დღისა)
ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არ არსებობის შესახებ. (მოქმედების ვადა არა უმეტეს 10 სამუშაო დღისა)
გ) ცნობა მისი ქმედუნარიანობის შესახებ (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან)

• **როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირებისთვის:**
ა) სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.
ბ) საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად სავალდებულოა წარმოდგენილ იქნეს შემოთავაზებული სქონლის ნიმუშები

**შენიშვნა:** ზემოთ ჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მონაცემები შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება

6. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.
7. ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან რამოდენიმე გამარჯვებული.
8. სავალდებულოა წარმოდგენილი იქნას სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, სატენდერო წინადადების ღირებულების 1% ოდენობით.
9. პრეტენდენტის გამარჯვების შემთხვევაში სავალდებულოა წარმოდგენილ იქნას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 2%-ის ოდენობით.
10. დაფინანსების წყარო – სახელმწიფო ბიუჯეტი.
11. პრეტენდენტებს შეუძლიათ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდეც, ზემოთ მითითებულ მისამართზე.
12. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: გიორგი მაღლაკელიძე, ტელ: 41 87 13.

სატენდერო კომისია

# განცხადება

„საჯარო სამსახურის შესახებ" და „დიპლომატიური სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონების თანახმად, საჯარო სამსახურის ბიურო აცხადებს კონკურსს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

**დსთ-ს ქვეყნებთან ურთიერთობების დეპარტამენტი**

| № | თანამდებობა | თანამდებობ-რივი სარგო (ლარი) |
|---|---|---|
| | **ცენტრალური აზიის ქვეყნებთან ურთიერთობების სამმართველო** | |
| 1. | III მდივანი | 600 |

**საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტი**

| № | თანამდებობა | თანამდებობ-რივი სარგო (ლარი) |
|---|---|---|
| | **ევროსაბჭოს სამმართველო** | |
| 2. | მრჩეველი | 850 |

**დიპლომატიური პროტოკოლის დეპარტამენტი**

| № | თანამდებობა | თანამდებობ-რივი სარგო (ლარი) |
|---|---|---|
| | **უმაღლესი და მაღალი რანგის დელეგაციებთან მუშაობის სამმართველო** | |
| 3. | II მდივანი | 650 |
| 4. | ატაშე | 550 |

**საკონსულო დეპარტამენტი**

| № | თანამდებობა | თანამდებობ-რივი სარგო (ლარი) |
|---|---|---|
| | **სავიზო ურთიერთობების სამმართველო** | |
| 5. | III მდივანი | 600 |
| 6. | ატაშე | 550 |
| | **საკონსულო ურთიერთობების სამმართველო** | |
| 7. | ატაშე | 550 |

***კონკურსის პირობები:***

კონკურსი ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად (შემდგომ – კონკურსი) უზრუნველყოფს სახელმწიფო სამსახურის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველასათვის.

კონკურსი ეწყობა იმ პირებს შორის, რომლებიც შეიტანენ განცხადებას კონკურსში მონაწილეობის მისაღებად და დააკმაყოფილებენ საკონკურსო მოთხოვნებს.

კანონის შესაბამისად, კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება ეძლევა საქართველოს ქმედუნარიან მოქალაქეს 21 წლის ასაკიდან, რომელსაც აქვს შესაბამისი განათლება, სათანადო კვალიფიკაცია და ფლობს სახელმწიფო ენას.

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

***დსთ-ს ქვეყნებთან ურთიერთობების დეპარტამენტი***

– **III მდივანი** – 1 საშტატო ერთეული
- უმაღლესი განათლება იურისტის ან ეკონომისტის კვალიფიკაციით, ან საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით;
- არანაკლებ ორი უცხოური ენა (სავალდებულოა რუსული და ინგლისური);
- კომპიუტერული პროგრამები (WINDOWS, WORD, INTERNET).

***საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტი***

– **მრჩეველი** – 1 საშტატო ერთეული
- უმაღლესი განათლება სამართალმცოდნეობის, საერთაშორისო სამართალმცოდნეობის ან საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით;
- სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება;
- არანაკლებ ორი უცხოური ენა (სავალდებულოა ინგლისური);
- კომპიუტერული პროგრამები (WINDOWS, WORD, INTERNET ).

***დიპლომატიური პროტოკოლის დეპარტამენტი***

– **II მდივანი** – 1 საშტატო ერთეული
- უმაღლესი განათლება იურისტის, სახელმწიფო მართვის ან საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით;
- სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება;
- არანაკლებ ორი უცხოური ენა (სავალდებულოა ინგლისური);
- კომპიუტერული პროგრამები (WINDOWS, WORD, INTERNET ).

– **ატაშე** – 1 საშტატო ერთეული
- უმაღლესი განათლება იურისტის, სახელმწიფო მართვის ან საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით;
- არანაკლებ ორი უცხოური ენა (სავალდებულოა ინგლისური);
- კომპიუტერული პროგრამები (WINDOWS, WORD, INTERNET ).

***საკონსულო დეპარტამენტი***

– **III მდივანი** – 1 საშტატო ერთეული
- უმაღლესი განათლება სამართალმცოდნეობის, საერთაშორისო სამართალმცოდნეობის ან საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით;
- არანაკლებ ორი უცხოური ენა;
- კომპიუტერული პროგრამები (WINDOWS, WORD, INTERNET ).

– **ატაშე** – 2 საშტატო ერთეული
- უმაღლესი განათლება სამართალმცოდნეობის, საერთაშორისო სამართალმცოდნეობის ან საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით;
- არანაკლებ ორი უცხოური ენა;
- კომპიუტერული პროგრამები (WINDOWS, WORD, INTERNET ).

კონკურსს ატარებს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისია.

საკონკურსო-საატესტაციო კომისია ადგენს კონკრეტული ვაკანტური თანამდებობისადმი წაყენებულ მოთხოვნებთან კანდიდატის შესაბამისობას.

კონკურსი ტარდება 2 ტურად:
- პირველი ტური - წერითი გამოცდა უცხოურ ენებსა და ქართულ ენაში;
- მეორე ტური - გასაუბრება.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველებმა საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოში წერილობით განცხადებასთან ერთად უნდა წარადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

ა) ავტობიოგრაფია;
ბ) განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის მოწმობის ასლი;
გ) ორი ფერადი ფოტოსურათი 3X4;
დ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
ე) შრომის წიგნაკის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
ვ) უცხოური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
ზ) სამხედრო ბილეთი და მისი ასლი ან საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან გათავისუფლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

საბუთების ჩაბარებისას კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველებმა საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოში უნდა წარადგინონ განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის მოწმობის, შრომის წიგნაკისა და პირადობის დამადასტურებელი მოწმობის დედნები, რომლებიც ასლის ნამდვილობის შემოწმების შემდეგ დაუბრუნდება კანდიდატს.

საბუთები მიიღება ორი კვირის ვადაში 2009 წლის 10 აგვისტოდან 23 აგვისტოს ჩათვლით, შაბათ-კვირის გარდა, $10^{00}$ სთ-დან $13^{00}$ სთ-მდე საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოში.

კონკურსი მოეწყობა განცხადების გამოქვეყნების დღიდან არა უადრეს სამი კვირისა.

კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში გამარჯვებულმა ორ კვირაში უნდა წარმოადგინოს დამატებითი საბუთები („საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად).

დაწვრილებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჩიტაძის ქ. № 4, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. ტელ.: 284724, 284718, 284860.

აღნიშნული განცხადება შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ვებ-გვერდებზე: **www.mfa.gov.ge** (საგარეო საქმეთა სამინისტრო), **www.psb.gov.ge** (საჯარო სამსახურის ბიურო) და **www.jobs.gov.ge** (დასაქმება საჯარო სამსახურში).

**საჯარო სამსახურის ბიურო**

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

**Swiss Cooperation Office for the South Caucasus**
Georgia

## განცხადება

**შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს წარმომადგენლობა სამხრეთ კავკასიაში იწვევს ახალგაზრდა სახელმწიფო მოხელეებს სასწავლო კურსზე "ადამიანთა უფლებები და ჰუმანიტარული სამართალი".**

კურსი ჩატარდება 2009 წლის 15 ოქტომბრიდან 29 ოქტომბრამდე ბაქოში ჟენევის "საერთაშორისო ურთიერთობებისა და განვითარების სწავლების ინსტიტუტის" მიერ. განაცხადების შემოტანის ბოლო ვადაა 2009 წლის 1 სექტემბერი. განაცხადის ფორმები და დამატებითი ინფორმაცია განთავსებულია ვებ-საიტზე:

**www.cabir.org/applications**

**ასევე შეგიძლიათ მიმართოთ ჟენევის საერთაშორისო ურთიერთობებისა და განვითარების სწავლების ინსტიტუტის, საერთაშორისო ორგანიზაციების სწავლების პროგრამის კოორდინატორს სელინ გლუცს ელექტრონული ფოსტით:** applications@cabir.org.

## ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის სატენდერო კომისიის განცხადება

1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ მ/წლის 11 ივნისს გაზეთ 24 საათში გამოცხადდა ტენდერი 4 ლოტად:

I ლოტი: I ობჩის გ.გეწაძის სახელობის N1 საჯარო სკოლის კაპიტალური შეკეთება.

II ლოტი: II ობჩის N1 საჯარო სკოლის კაპიტალური შეკეთება.

III ლოტი: წითელხევის N2 საჯარო სკოლის კაპიტალური შეკეთება.

IVლოტი: სოფ. წყალთაშუას არასრული საჯარო სკოლის კაპიტალური შეკეთება.

გამოვლინდა ერთი გამარჯვებული ორგანიზაცია ოთხივე ლოტზე და გაფორმდა ხელშეკრულება შპს "ზუგომშენთან" (მის: ბათუმი მეტაქსას ქN9).

2. ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ მ/წლის 9 ივლისს გაზეთ 24 საათში გამოცხადდა ტენდერი, ბაღდათის რაიონში N1 საბავშვო ბაგა- ბაღის კაპიტალური შეკეთების სამუშაოების შესყიდვაზე.

გამოვლინდა გამარჯვებული ორგანიზაცია და გაფორმდა ხელშეკრულება შპს "ბეირკონ ჯგუფ"-თან. (მის: ქუთაისი ჯორჯიაშვილის ქN16)

## საქართველოს თავდაცვის სამინისტრო აცხადებს ტენდერს საცხოვრებელი კორპუსის 216 ბინის შიდა სა-რემონტო სამუშაოების **შესყიდვაზე და იწვევს ტენ-დერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერე-სებულ პირს.**

**შესყიდვის ობიექტი** - საცხოვრებელი კორპუსის ბინების შიდა სარემონტო სამუშაოები
**დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი**

1. ლოტი N1 საცხოვრებელი კორპუსის 216 ბინის შიდა სარემონტო სამუშაოები (ქ. თბილისში, აბაშვილის ქუჩა, კორპუსი N8);
2. სარემონტო სამუშაოები უნდა დასრულდეს 2009 წელს, ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 2 თვის განმავლობაში;
3. ტენდერში მონაწილემ შემოთავაზებულ ხარჯთაღრიცხვაში (სატენდერო წინადადების ღირებულებაში) უნდა გათვალისწინოს ყველა ხარჯი, მათ შორის კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი;
4. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2009 წლის 10 აგვისტოდან 31 აგვისტოს 12.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გენერალ გ. კვინიტაძის ქუჩა N20, თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი, ოთახი N322. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე;
5. სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე:

ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში, არასაგადასახადო სახელმწიფო ხაზინა
ანგ. N 200122900
ბანკის კოდი: 220101222
სახაზინო კოდი: 302006500

6. გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ საცხოვრებელი კორპუსის 216 ბინის შიდა სარემონტო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე გამოცხადებული ტენდერი;
7. პრეტენდენტებმა განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე დედნის სახით (არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა ქართულ ენაზე ნოტარიალურად დამოწმებული ასლები) უნდა წარმოადგინონ ერთ დალუქულ კონვერტში 2009 წლის 31 აგვისტოს 12 საათიდან 1 სექტემბრის 12:00 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გენერალ გ. კვინიტაძის ქუჩა N20, თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი, ოთახი N322. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით, ზემოთაღნიშნულ მისამართზე, 2009 წლის 1 სექტემბრის 12:00 საათზე;
8. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:

**8.1 იურიდიულ პირთათვის:**
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
- ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელ(ებ)ი ბოლო 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრადებულნი, და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;
- ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ იურიდიული პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

**8.2. ფიზიკურ პირთათვის:**
- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან მისი ქმედუნარიანობის შესახებ;
- ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელ(ებ)ი ბოლო 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრადებულნი, და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;
- ცნობა სასამართლოდან, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

**8.3. როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირებისათვის:**
- ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);
- ინფორმაცია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან (წერილობითი დადასტურება), რომ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტი ბოლო ორი წლის განმავლობაში არ არის არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტების და მიმწოდებლების რეესტრში.
- ინფორმაცია უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური სამუშაოების შესახებ.
- ინფორმაცია პერსონალის კვალიფიციკაციის და გამოცდილების შესახებ, მ. შ. ანალოგიური საქმიანობის სფეროში.
- ინფორმაცია სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო ძირითადი მანქანა-მექანიზმების, სატრანსპორტო საშუალებების და მოწყობილობა-დანადგარების შესახებ.

9. პრეტენდენტებმა, სატენდერო წინადადებასთან ერთად (ერთ დალუქულ კონვერტში), ასევე უნდა წარმოადგინონ სუბკონტრაქტორების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების (ზემოთჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მონაცემები) შესაბამისად;
10. ***შენიშვნა:*** არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან, ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით;
11. განცხადებაში ჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული სატენდერო განცხადების გამოქვეყნებიდან არაუმეტეს სატენდერო წინადადების მიღების დასრულების თარიღამდე;
12. პრეტენდენტების მიერ განცხადების შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, საკვალიფიკაციო შერჩევის დროს, შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება;
13. თუ პრეტენდენტი არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ ყველა დოკუმენტს, ან პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე;
14. **სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, იურიდიულ და საფოსტო მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, ანგარიშსწორების რეკვიზიტებს, საიდენტიფიკაციო კოდი;**
15. დაგვიანებით შემოსულ სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს;
16. ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული;
17. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება, ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება;
18. ტენდერში სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მექანიზმი გამოყენებული იქნება შემდეგი სახით: საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების ჯამური ღირებულების 1%-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა უნდა იყოს პრეტენდენტის სატენდერო წინადადების მოქმედების ვადაზე მინიმუმ 30 კალენდარული დღით მეტი;
19. ტენდერში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი გამოყენებულ იქნება შემდეგი სახით: საბანკო გარანტია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა უნდა **15 დღით უნდა აჭარბებდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას;**
20. **სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე** პრეტენდენტს აქვს შესაძლებლობა გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას, ქვემოთ მითითებულ მისამართზე;
21. შემსყიდველი ორგანიზაციის რეკვიზიტები: 0112, ქ.თბილისი, გენერალ გ. კვინიტაძის ქ. N20, სკ. 204900483. საბანკო რეკვიზიტები: ანგ. N200122900 სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222;
22. დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო აპარატის წევრს: გაიოზ მენთეშაშვილი, ტელ: 91-03-54. ქ. თბილისი, გენერალ გ. კვინიტაძის ქუჩა, თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი, ოთახი N322.

**სატენდერო კომისია**

---

**შპს „საარბიტრაჟო სასამართლო კავკასიაში"**
**თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ.N50/38, ტ. 294425**
**რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, რეგისტრაციის N 205274326, თარიღი - 05.03.09 წ..**
**ქ. თბილისი 07 აგვისტო 2009 წ.**
**დადგენილება N005 საჯარო შეტყობინების შესახებ**

შპს-ის „საარბიტრაჟო სასამართლო კავკასიაში" დებულების 11-ე მუხლის შესაბამისად და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლით დადგენილი წესის თანახმად გამოტანილი იქნა დადგენილება მოპასუხეთათვის საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ.

1.მოპასუხეს: გენადი აწყვერელს (მოვალე) მცხ. ქ. თბილისში, საავიაციო ქარხნის დასახლება , სახლი 8, ბინა 10 ეცნობოს, რომ ივანე მაჭავარიანის მიერ შემოტანილია საარბიტრაჟო პრეტენზია მოპასუხის მონაწილეობით დადებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების შესრულების თაობაზე;

2. მოპასუხე ვალდებულია ერთი კვირის ვადაში შემოიტანოს შესაგებელი საარბიტრაჟო პრეტენზიაზე (მანამდე მოპასუხეს შეუძლიათ გაეცნოს, მიიღოს საარბიტრაჟო პრეტენზია დანართებით საარბიტრაჟო სასამართლოში: თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ. 50/38, ტ. 294425).

დირექტორი (არბიტრაჟის თავმჯდომარე) ვლადიმერ ინგოროყვა

---

# განცხადება

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ფოთის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) განმეორებით აცხადებს ღია აუქციონს სს „ტუია"-ს ს/ნ 215082434 (მდებარე: ქ. ფოთი, ლარნაკას ქ. №3) დაყადაღებული ქონების რეალიზაციის მიზნით. სარეალიზაციოდ გამოტანილ იქნება სს „ტუია" შემდეგი დასახელების ქონება:

| № | საგნების დასახელება და აღწერა (განმასხვავებელი ნიშნები, ცვეთა და სხვა). | ზომის ერთეული (ზომა, წონა, მეტრაჟი და სხვა): | თითოეული საგნის შეფასება ლარებში | |
|---|---|---|---|---|
| | | | ერთეულის ფასი | საბაზრო ღირებულება |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 1 | მოდულის შენობა (ფოთი, ლარნაკას ქ. №3) | 700 კვ.მ | | 85000 |
| 2 | საწარმოო დანიშნულების შენობა(ფოთი, ლარნაკას ქ. №3) | 400 კვ.მ | | 60000 |
| 3 | შენობაზე მიდგმული (ფოთი, ლარნაკას ქ. №3) | 765 კვ.მ | | 70000 |
| 4 | საქვაბე (ფოთი, ლარნაკას ქ. №3) | 39 კვ.მ | | 10000 |
| 5 | ტრანსფორმატორი | 1ც | | 18000 |
| 6 | მეტალის ავზი 6 ტ-ნი | 2ც | 500 | 1000 |
| 7 | მეტალის ავზი 25 ტ-ნი | 1ც | | 1800 |
| 8 | მეტალის ავზი 11 ტ-ნი | 1ც | | 1200 |
| 9 | ელ. ქვესადგურის შენობა | | | 2000 |
| 10 | მინის ვიტრაჟი | 1ც | | 70 |
| 11 | საყარაულო ჯიხური (ფოთი, ლარნაკას ქ. №3) | 6 კვ.მ | | 600 |
| 12 | დამხმარე ნაგებობა (ფოთი, ლარნაკას ქ. №3) | 49.4 კვ.მ | | 5000 |
| 13 | დამხმარე ნაგებობა (გენერატორისათვის) (ფოთი, ლარნაკას ქ. №3) | 12 კვ.მ | | 1000 |
| 14 | ტერიტორიის შემოკავება | 538 გრძ.მ | | 20000 |
| 15 | რკინის ჭიშკარი | 1ც | | 1200 |
| 16 | წყლის ავზი რკინის სამაგრი ბოძით | 1ც | | 700 |
| 17 | მიწის ნაკვეთი სარგებლობის უფლებით (ფოთი, ლარნაკას ქ. №3) | 8400 კვ.მ | | 588000 |
| | სულ ჯამი | | | 865570 |

ქონების საერთო ღირებულება: 865570 (რვაასსამოცდახუთიათასხუთასსამოცდაათი) ლარი

ქონების ადგილმდებარეობის ფაქტიური მისამართია: ქ. ფოთი, ლარნაკას ქ. №3

აუქციონი გაიმართება 2009 წლის 24 აგვისტოს 14 სთ-ზე შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, 26 მაისის ქ. №7, ფოთის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) შენობაში.

აუქციონზე ქონების შეძენის მსურველებმა აუქციონის ჩატარებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე უნდა შეიტანონ შესაძენი ქონების ღირებულების 2% (მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, ცენტრალიზებული ანგარიშის ნომერი 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, სახაზინო კოდი 302006000). მესამე პირებს, რომლებსაც გააჩნიათ რაიმე უფლება აუქციონზე სარეალიზაციოდ გატანილ ქონებაზე, შეუძლიათ მიმართონ ფოთის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექცია) აუქციონის ჩატარებამდე. დაწვრილებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ:

ქ. ფოთი, 26 მაისის ქ. №7. ტელ.: 8(22)26-18-19; 8(22)26-18-21.

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ს.ს. „ქუთაისის ლითოფონის ქარხანა" (საინდ. № 212670279) აცხადებს ღია აუქციონს შავი და ფერადი ლითონის ჯართის, მაკულატურის და სხვადასხვა მარაგნაწილების გაყიდვაზე

1. ძირითადი მახასიათებლები და საინფორმაციო მაჩვენებლები:

| № | დასახელება | განზომილების ერთეული | რაოდენობა | საწყისი ღირებულება | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | შავი ლითონის ჯართი | ტონა | 48.3 | 9660 | წონა საორიენტაციო |
| 2 | მაკულატურა | ტონა | 3 | 300 | წონა საორიენტაციო |
| 3 | უჟანგავი ლითონის ჯართი | კგ. | 810 | 1620 | წონა საორიენტაციო |
| 4 | ალუმინის ჯართი | კგ. | 36 | 36 | წონა საორიენტაციო |
| 5 | ელ. ძრავი 10 კვტ 1500ბრ/წ | ცალი | 19 | 1900 | ნახმარი |
| 6 | ელ. ძრავი 3 კვტ 1000ბრ/წ | ცალი | 1 | 60 | ნახმარი |
| 7 | ელ. ძრავი 75 კვტ 750ბრ/წ | ცალი | 2 | 1500 | ნახმარი |
| 8 | ელ. ძრავი 7.5 კვტ 3000ბრ/წ | ცალი | 2 | 150 | ნახმარი |
| 9 | ელ. ძრავი 2 კვტ 1000ბრ/წ | ცალი | 1 | 40 | ნახმარი |
| 10 | ელ. ძრავი 75 კვტ 1000ბრ/წ | ცალი | 1 | 750 | ნახმარი |
| 11 | ელ. ძრავი 5.5 კვტ 1000ბრ/წ | ცალი | 1 | 55 | ნახმარი |
| 12 | ელ. ძრავი 22 კვტ 1500ბრ/წ | ცალი | 1 | 220 | ნახმარი |
| 13 | ელ. ძრავი 4 კვტ 1000ბრ/წ | ცალი | 3 | 120 | ნახმარი |
| 14 | ელ ძრავი 132კვტ 833ბრ/წ | ცალი | 1 | 1320 | ნახმარი |
| 15 | ელ ძრავი 132კვტ 1000ბრ/წ | ცალი | 1 | 1320 | ნახმარი |
| 16 | ელ ძრავი 7.5კვტ 1500ბრ/წ | ცალი | 1 | 75 | ნახმარი |
| 17 | ელ ძრავი 2კვტ 1000ბრ/წ | ცალი | 1 | 40 | ნახმარი |
| 18 | ელ ძრავი 17 კვტ 3000ბრ/წ | ცალი | 1 | 170 | ნახმარი |
| 19 | ელ ძრავი 5 კვტ 1000ბრ/წ | ცალი | 1 | 50 | ნახმარი |
| 20 | ელ ძრავი 3კვტ 1000ბრ/წ | ცალი | 2 | 60 | ნახმარი |
| 21 | ელ ძრავი 1.5კვტ 1000ბრ/წ | ცალი | 1 | 30 | ნახმარი |
| 22 | რედუქტორი რმ-150 | ცალი | 1 | 40 | ნახმარი |
| 23 | რედუქტორი ტ2უ 250 | ცალი | 1 | 50 | ნახმარი |
| 24 | თვითმომსახურების ხაზის ლითონის მაგიდა | ცალი | 2 | 20 | ნახმარი |
| 25 | ორსაფეხურიანი ცხავის კორპუსი | ცალი | 1 | 2000 | ნახმარი |
| 26 | ცეცხლგამძლე აგური | ტონა | 8 | 800 | ნახმარი |
| 27 | საკისარი №116 | ცალი | 4 | 16 | უხმარი |
| 28 | საკისარი №121 | ცალი | 5 | 25 | უხმარი |
| 29 | საკისარი №200 | ცალი | 12 | 36 | უხმარი |
| 30 | საკისარი №203 | ცალი | 15 | 45 | უხმარი |
| 31 | საკისარი №310 | ცალი | 10 | 80 | უხმარი |
| 32 | საკისარი №313 | ცალი | 8 | 80 | უხმარი |
| 33 | საკისარი №316 | ცალი | 30 | 360 | უხმარი |
| 34 | საკისარი №319 | ცალი | 32 | 480 | უხმარი |
| 35 | საკისარი №408 | ცალი | 40 | 200 | უხმარი |
| 36 | საკისარი №410 | ცალი | 45 | 270 | უხმარი |
| 37 | საკისარი №411 | ცალი | 20 | 140 | უხმარი |
| 38 | საკისარი №413 | ცალი | 15 | 105 | უხმარი |
| 39 | საკისარი №417 | ცალი | 10 | 80 | უხმარი |
| 40 | საკისარი №2222 | ცალი | 15 | 225 | უხმარი |
| 41 | საკისარი №2310 | ცალი | 15 | 120 | უხმარი |
| 42 | საკისარი №1610 | ცალი | 10 | 100 | უხმარი |
| 43 | საკისარი №2317 | ცალი | 20 | 160 | უხმარი |
| 44 | საკისარი №7318 | ცალი | 40 | 480 | უხმარი |
| 45 | საკისარი №7618 | ცალი | 30 | 390 | უხმარი |
| 46 | საკისარი №7624 | ცალი | 30 | 450 | უხმარი |
| 47 | საკისარი №7723 | ცალი | 40 | 1200 | უხმარი |
| 48 | საკისარი №7809 | ცალი | 50 | 800 | უხმარი |
| 49 | საკისარი №7815 | ცალი | 15 | 105 | უხმარი |
| 50 | საკისარი №8108 | ცალი | 6 | 60 | უხმარი |
| 51 | საკისარი №7110 | ცალი | 4 | 16 | უხმარი |
| 52 | საკისარი №8110 | ცალი | 5 | 25 | უხმარი |
| 53 | საკისარი №8111 | ცალი | 15 | 75 | უხმარი |
| 54 | საკისარი №8207 | ცალი | 20 | 80 | უხმარი |
| 55 | საკისარი №8218 | ცალი | 40 | 320 | უხმარი |
| 56 | საკისარი №8222 | ცალი | 60 | 900 | უხმარი |
| 57 | საკისარი №8426 | ცალი | 12 | 216 | უხმარი |
| 58 | საკისარი №11314 | ცალი | 20 | 240 | უხმარი |
| 59 | საკისარი №13620 | ცალი | 20 | 320 | უხმარი |
| 60 | საკისარი №807813 | ცალი | 10 | 50 | უხმარი |
| 61 | საკისარი №804805 | ცალი | 22 | 132 | უხმარი |
| 62 | საკისარი №845904 | ცალი | 20 | 100 | უხმარი |
| 63 | საკისარი №877907 | ცალი | 10 | 60 | უხმარი |
| 64 | საკისარი №7000106 | ცალი | 20 | 140 | უხმარი |

– განცხადების მიღების ადგილი ქ. ქუთაისი, წერეთლის ქ. №192, ს.ს. „ქუთაისის ლითოფონის ქარხანა" ტელ: 2-17-45; 2-22-34; 2-66-75; (899) 94-41-01; (899) 39-83-88. საკონტრაქტო პირები სოსო სვანიძე და მერაბ ჭეიშვილი.

– განცხადების მიღების ვადა - 2009 წლის 25 აგვისტოს ჩათვლით, 11 საათიდან 16 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა).

– ღია აუქციონი ჩატარდება 2009 წლის 26 აგვისტოს 12 საათზე ქ. ქუთაისში, წერეთლის ქ. №192

– აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის იურიდიულ და ფიზიკურ პირებს.

– ს.ს. „ქუთაისის ლითოფონის ქარხნის" საბანკო რეკვიზიტებია: თიბისი ბანკის ქუთაისის ფილიალი, ა/ა 10467729, ბანკის კოდი 220101888

2. აუქციონის პირობები:

– აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველმა განცხადებას თან უნდა დაურთოს ბე-ს გადახდის დამადასტურებელი ბანკის ქვითარი, რომელიც უნდა იყოს შესაძენი ლოტის 10%, ბიჯი – 10 ლარი.

– გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია მაქსიმალური ფასის შემოთავაზება, რომელიც აღემატება გამოცხადებულ საწყისს ფასს. შავი და ფერადი ლითონის ჯართის დამუშავებას და გატანას გამარჯვებული ახდენს საკუთარი სახსრებითა და ძალებით.

3. ხელშეკრულების დადება:

– აუქციონის ჩატარებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში გამარჯვებული მონაწილე ვალდებულია გააფორმოს ხელშეკრულება ს.ს. „ქუთაისის ლითოფონის ქარხანა"-სთან (შავი და ფერადი ლითონის ჯართის ლოტების გამარჯვებულები საკუთარი სახსრებით ჯართის დამუშავების და აწონვის შემდეგ ჯართის საფასურის გადახდის პირობით).

– თუ გამარჯვებული მონაწილე, აუქციონის ჩატარებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში არ გააფორმებს ხელშეკრულებას ს.ს. „ქუთაისის ლითოფონის ქარხანა"-სთან, აუქციონის შედეგები ცხადდება გაუქმებულად და ბე არ უბრუნდება.

4. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტები:

– განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს მონაწილის თანხმობა აუქციონის პირობების შესრულებაზე.

– აუქციონში მონაწილე ფიზიკური პირის პირადობის მოწმობის ასლი ან ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

– აუქციონში მონაწილეთა ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან, გამცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს.

– აუქციონი ითვლება არშემდგარად, თუ მისი ჩატარების შესახებ განცხადების გამოქვეყნებიდან დადგენილ ვადაში არ იქნება შემოტანილი არც ერთი განაცხადი ან წარმოდგენილი განცხადებიდან არც ერთი არ აკმაყოფილებს აუქციონის პირობებს.

5. შენიშვნები და დათქმები:

– დადგენილი ვადის შემდეგ საუქციონო განაცხადი არ მიიღება.

– განაცხადის შემოსვლის თარიღი განისაზღვრება მისი რეგისტრაციის თარიღად.

– მონაწილეს უფლება აქვს ადგილზე დაათვალიეროს აუქციონის საგანი.

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ფოთის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) განმეორებით აცხადებს ღია აუქციონს შპს „მიხელი-80"-ს ს/ნ 215103279 (მდებარე: ქ. ფოთი, სარსანიას ქ. №67) დაყადაღებული ქონების რეალიზაციის მიზნით. სარეალიზაციოდ გამოტანილ იქნება შპს „მიხელი-80"-ს შემდეგი დასახელების ქონება:

| № | საგნების დასახელება და აღწერა (განმასხვავებელი ნიშნები, ცვეთა და სხვა). | ზომის ერთეული (ზომა, წონა, მეტრაჟი და სხვა): | თითოეული საგნის შეფასება ლარებში | |
|---|---|---|---|---|
| | | | ერთეულის ფასი | საბაზრო ღირებულება |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 1 | ადმინისტრაციული სახლი | 12.60მX17.60მ | | 70000 |
| 2 | ცემენტის საწყობი | 6.30მX14მ | | 8000 |
| 3 | ტერიტორიის შემოკავება (ფოლადის ფურცლით) | | | 27000 |
| 4 | ხის მასალის საშრობი | 6.0მX14.0მ | | 8000 |
| 5 | ხის დამამუშავებელი საამქრო | | | 100000 |
